საქართველოს·
ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

40

№ ~~39~~
(11 598)

28 – 30 მაისი, 2002 წ.
ფასი 40 თეთრი
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ნომერში:

- „ბურთის გარდაცვალება ლანჩხუთურად“...
- მარიხუანას და ზოგიერთი სხვა სტიმულატორის მიღებისთვის ოლიმპიელებს მედლებს აღარ ჩამოართმევენ
- ბლატერი და რუფინენი 8 საათით შერიგდნენ
- პლანეტის ყველაზე მრავალრიცხოვანი ერის საფეხბურთო ნაკრები – მსოფლიო ჩემპიონატის დებიუტანტი!
- 20 წლიანი სასჯელი ავსტრალიელ მორაგბეს
- სკანდალი ოლიმპიური ფარიკაობის გამო გრძელდება

ამ თასის პირველი მფლობელი თბილისის „ლოკომოტივია“!

საქართველოს ჩემპიონი ქუთაისის „ტორპედო“ კი ფინალისტობით დაკმაყოფილდა

4

დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასი

თბილისის «ლოკომოტივი»

ქუთაისის «ტორპედო»

ელდარ მალხაზიშვილის ფოტოები

წოდებათა მინიჭება

ძალოსნობაში მაღალკვალიფიციური სპორტსმენების მომზადებისათვის საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა „საქართველოს სპორტის დამსახურებული მწვრთნელის“ საპატიო წოდება მიანიჭა ქ. ქუთაისის ოლიმპიური რეზერვის სპორტული სკოლის მწვრთნელს **მალხაზ ლომთაძეს.**

* * *

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა ქვეყანაში სპორტის განვითარებისა და ახალგაზრდა თაობის აღზრდაში შეტანილი დიდი წვლილისათვის „საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება მიანიჭა.

რამაზ თელიას – სამტრედიის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს

ამირან კელიხაშვილს – სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ ძიუდოს ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის უფროს მწვრთნელს.

ზაირა ნათაძეს – ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანის მოადგილეს.

გულშემატკივრები მოითხოვენ

„ლელოს“ რედაქციას!

ახლახან გარდაიცვალა სახელგანთქმული ფეხბურთელი და მწვრთნელი ვალერი ლობანოვსკი. უკრაინის მთავრობამ დიდად დააფასა მისი დამსახურება ყოფილი საბჭოთა კავშირის და უკრაინის წინაშე. უკრაინის ცენტრალურ ოლიმპიურ სტადიონს მისი სახელი, ხოლო ვალერი ლობანოვსკის დამსახურებისათვის – უკრაინის გმირის წოდება მიანიჭეს. ყოველმხრივ უნდა მივესალმოთ უკრაინის მთავრობის ამ გადაწყვეტილებას. არანაკლები დამსახურება მიუძღვის ქართული და ყოფილი საბჭოთა კავშირის წინაშე ნოდარ ახალკაცს. რატომღაც მისი დამსახურება ჯეროვნად არ იქნა შეფასებული. ქართული ფეხბურთის ყველაზე დიდი მიღწევები დაკავშირებულია ნოდარ ახალკაცის სახელთან. მისი ხელმძღვანელობით თბილისის „დინამომ“ მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება, ორჯერ გახდა სსრ კავშირის თასის მფლობელი. იყო ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა გამარჯვებული. ჩვენ ყველანი მხოლოდ ახლა ვხდებით, რა დიდი დანაკლისი განიცადა ქართულმა ფეხბურთმა, ამიტომაც დღეს ბევრი იხსენებს მას. დიდი პიროვნებისა და მწვრთნელის ნოდარ ახალკაცის ღვაწლის უკვდავსაყოფად შემოვდივართ წინადადებით, ნოდარ ახალკაცი დაჯილდოვდეს საქართველოს უმაღლესი ხარისხის ორდენით და ქ. თბილისში ეროვნული ნაკრები გუნდის მშენებარე ბაზას და ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს მისი სახელი.

მრავალრიცხოვანი ფეხბურთის მოყვარულთა სახელით,

თენგიზ თავდგირიძე,
ნოდარ შავიშვილი.

მილოცვები

ქ. თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის ოლიმპიური რეზერვის ტანვარჯიშულ სახეობათა სპორტული სკოლა და პირადად მისი დირექტორი როზა ბერიკაშვილი დაბადების დღეს ულოცავს ზემოხსენებული სამსახურის საორგანიზაციო მუშაობის განყოფილების გამგეს, შესანიშნავი პიროვნული ღირსებებით შემკულ ადამიანს **მარინე თარხნიშვილს.**

* * *

ნარგიზა მესხი, მერაბ მეტრეველი, ამირან ზუხბაია, მერაბ კაკაბაძე, თენგიზ გაჩეჩილაძე დაბადების დღეს ღრმა პატივისცემით ულოცავენ სიკეთითა და ადამიანებისადმი სიყვარულით გამორჩეულ პიროვნებას **მარინე თარხნიშვილს.**



ცაბაძე საფრანგეთის ერთ-ერთ უძლიერეს სარაგბო გუნდში გადავიდა

საქართველოს მორაგბეთა ნაკრების უძლიერესმა მოთამაშემ ლევან ცაბაძემ, რომელიც აქამდე ფრანგულ კლუბ „კასტრის“ ღირსებას იცავდა, ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი „მამლების“ სამშობლოს ერთ-ერთ უძლიერეს გუნდთან – „მონფერანთან“, რომლის შემადგენლობაშიც თამაშობენ ფრანგული რაგბის ვარსკვლავები ოლივიე მანი, ჟერარ მერსერონი და ოლივიე ბრეზე. ახალ გუნდთან ერთად ვარჯიშს ცაბაძე აგვისტოდან დაიწყებს.

ჩემპიონობა „კოკა-კოლას“ ბოთლების წვიმაში

ბათუმის „ბასკო“, რომელიც მთელი სეზონის განმავლობაში ეროვნულ საკალათბურთო ჩემპიონატის უცვლელი ლიდერი იყო, საბოლოოდ გაჩემპიონდა.

კალათბურთი • ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

ზღვისპირელთა გამარჯვება არავის აეჭვებდა, თუმცა თბილისის „დინამომ“ მოსალოდნელზე უფრო დიდი წინააღმდეგობა გაუწია მათ. ბათუმში ჩატარებულ პირველ შეხვედრაში „ბასკომ“ იოლი გამარჯვება მოიპოვა, მეორე შეხვედრაში კი კინაღამ წააგო. მხოლოდ გადამწყვეტ მომენტში შეძლო ერთი ქულით მატჩის მოგება.

დრამატულად წარიმართა მესამე მატჩიც, რომელიც თბილისის სპორტის სასახლეში შედგა, „დინამომ“ პირველი მეოთხედი მხოლოდ სამი ქულის სხვაობით დათმო — 19:22. მომდევნო ორ მეოთხედში დინამოელები აქტიურობდნენ. მონდომებამ და ორგანიზებულმა თამაშმა შედეგი გამოიღო. ბოლო მეოთხედის ერთ მომენტში მასპინძლები 11 ქულასაც იგებდნენ — 86:78. დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია. ერთ მომენტში ბათუმელ კალათბურთელებს ნერვებმა უმტყუნათ და თამაში შეწყვიტეს, რასაც მაყურებელთა ტრიბუნებიდან „კოკა-კოლას“ ბოთლების წვიმა მოჰყვა.

მატჩი რამდენიმე წუთში გაგრძელდა. „დინამომ“ ვერ შეძლო უპირატესობის შენარჩუნება. „ბასკომ“ თავისი გაიტანა. შეხვედრის ბოლო წამზე, როცა „ბასკო“ ერთი ქულით იგებდა (92:91), კიდევ ერთი ინციდენტი მოხდა: ბათუმელთა გუნდის ერთ-ერთი მოთამაშის დაჯარიმება და თამაშის დასრულების მანიშნებელი სირენის ხმა ერთმანეთს დაემთხვა. ამ მომენტში გამარჯვებულის ბედი კომისარმა როლანდ ხომერიკმა გადაწყვიტა — მან მატჩი დამთავრებულად სცნო, რის შედეგადაც „ბასკომ“ მესამედ იზეიმა საქართველოს ჩემპიონობა.

„დინამო“ (თბილისი) — „ბასკო“ (ბათუმი) 91:92 (19:22, 23:22, 31:25, 18:23) სერიის ანგარიში — 0-3.

„დინამო“: **წოწელია (9), მაისურაძე (2), მუპე (17), ტურაშვილი (8), ნაცვლიშვილი (10), ელენტი (28), ოგანესიანი (6), ჯაფარიძე (4), ჩუბინიძე (4), კორძაძე, ჩხეიძე (3).**

„ბასკო“: **როჯერსი (24), ტუჯანი (2), თორთლაძე (16), ბეჟანიშვილი (8), საყვარელიძე (3), მარკოიშვილი (3), ბერძენიშვილი (11), ორმოცაძე (3), მუნგა (5), დილონი (17), არხიპოვი (0).**

ბრინჯაოს მედლებისთვის

ვაჟთა საკალათბურთო ჩემპიონატის მესამე ადგილისათვის გამართულ ფლეი-ოფის მატჩების სერიის პირველ ორ შეხვედრაში გამარჯვების შემდეგ, ბევრი ფიქრობდა, რომ „სტუ-ჯეოსელი“ შეძლებდა მესამე მატჩის მოგებასაც, თუმცა აღმოჩნდა, რომ ეს არც ისე იოლი საქმე იყო. რუსთავის „აზოტმა“ მოახერხა ძალების სრული მობილიზება. კვირას გამართულ მესამე შეხვედრაში რუსთაველმა კალათბურთელებმა ყველაფერი იღონეს გამარჯვების მოსაპოვებლად და მიაღწიეს კიდეც საწადელს – მათ სტუდენტები ორი ქულის სხვაობით დაამარცხეს – 79.77. შეიძლება ყველაფერი გადაეწყვიტა გუშინ საღამოს გამართულ მეოთხე შეხვედრას, მაგრამ „აზოტმა“ ეს მატჩიც მოიგო ანგარიშით 107:83 და სერიაში ანგარიში გათანაბრდა – 2:2. ახლა ბრინჯაოს მედლების მფლობელის ვინაობას გაარკვევს ხვალინდელი გადამწყვეტი თამაში, რომელიც კვლავ სპორტის სასახლეში გაიმართება.

6

საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატზე

ნონა გაფრინდაშვილის სახელობის ჭადრაკის სასახლეში გრძელდება საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა 62-ე ჩემპიონატი. 7 ტურის შემდეგ 5,5 ქულით შეჯიბრებას ერთპიროვნულად ლიდერობს თამაზ გელაშვილი. 5 ქულით მეორე ადგილზეა ზვიად იზორია, მესამეზე – 4,5 ქულით მიხეილ მჭედლიშვილი. შემდეგ მოდიან: მერაბ გაგუნაშვილი, მიხეილ კეკელიძე – 4-4 ქულა, დავით ლობჟანიძე, ბაადურ ჯობავა – 3,5, ზურაბ სტურუა, ლევან ფანცულაია, თამაზ მგელაძე – 3-3, ანა მათნაძე, დავით შენგელია – 1,5-1,5, ბუხუტი გურგენიძე – 0.

V ტური: ფანცულიაია – გურგენიძე 1:0, გელაშვილი – მგელაძე 1:0, კეკელიძე – გაგუნაშვილი 0,5:0,5, სტურუა – მათნაძე 0,5:0,5, მჭედლიშვილი – ჯობავა 0,5:0,5, ლობჟანიძე – შენგელია 1:0. ***VI ტური:*** ჯობავა – ლობჟანიძე 1:0, მათნაძე – მჭედლიშვილი 0:1, გაგუნაშვილი – სტურუა 0,5:0,5, მგელაძე – კეკელიძე 1:0, გურგენიძე – გელაშვილი 0:1, იზორია – ფანცულაია 1:0. ***VII ტური:*** გელაშვილი – იზორია 0,5:0,5, კეკელიძე – გურგენიძე 1:0, სტურუა – მგელაძე 0,5:0,5, მჭედლიშვილი – გაგუნაშვილი 0,5:0,5, ლობჟანიძე – მათნაძე 1:0, შენგელია – ჯობავა 0,5:0,5.

დღეს, ***VIII ტურში*** ერთმანეთს ხვდებიან: მათნაძე – სტურუა, გაგუნაშვილი – ლობჟანიძე, მგელაძე – მჭედლიშვილი, გურგენიძე – სტურუა, იზორია – კეკელიძე, ფანცულაია – გელაშვილი.

კასპაროვის მეოთხე ოსკარი

2001 წლის პლანეტის საუკეთესო მოჭადრაკედ დასახელდა მსოფლიოს მე-13 ჩემპიონი გარი კასპაროვი, რომელიც უკვე მეოთხედ გახდა „ოსკარის“ ბრინჯაოს ქანდაკების მფლობელი. გამოკითხვაში, რომელიც მეშვიდედ ჩაატარა საჭადრაკო გამოცემამ „64 – საჭადრაკო მიმოხილვა“, 55 ქვეყნის სპეციალისტი მონაწილეობდა.



მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 2 წელიწადი და 3 თვე დარჩა

torino 2006

ზამთრის მომავალ ოლიმპიურ თამაშებს 3 წელიწადი და 9 თვე გვაშორებს

მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო — ქართულ სპორტს!

ნინო სალუქვაძე ამჯერად მეოთხე იყო!

ატლანტაში დამთავრებულ ტყვიის მსროლელთა დიდი პრიზის გათამაშების მესამე ეტაპზე. ნინოს ჩუბინთა ყველა ასპარეზობაში, რომ ერთ-ერთ ანგარიშგასაწევ ლიდერად მიიჩნევენ, დიდი ხანია ყველამ კარგად იცის, უპირველესად, ცხადია, მისმა მეტოქეებმა შეჯიბრებაზე ნინოს და მისი მწვრთნელის, მამის ვახტანგ სალუქვაძის გასამგზავრებლად ამჯერადაც შეექმნა პრობლემები სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს, რომელმაც ბოლოს მაინც შეძლო სახსრების მოძიება.

ნინომ მომავალი ოლიმპიური თამაშებისთვის ჩვენებიდან პირველმა მოიპოვა ათენის საგზური. ამიტომ მის ყველა გამოსვლას მსოფლიო დონის ტურნირებში, გულშემატკივრები ინტერესით ადევნებენ თვალყურს. პნევმატური იარაღიდან სროლაში ჩვენმა სპორტსმენმა, ამჯერად, ფინალამდე ვერ მიაღწია. სპორტული პისტოლეტიდან სროლაში კი ბოლო შედეგით შევიდა ფინალში რვა უძლიერესს შორის — 384 ქ. ფინალისტებს 387 ქულით სათავეში ჩაუდგა ჩინელი ლუნა ტაო. საბოლოოდ, იგი საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზეც დადგა, მეორე იყო რუსეთელი გროზდოვა, მესამე — ფრანგი ტიროდე, მეოთხე — ნინო სალუქვაძე. მეოთხე ეტაპზე ბრძოლას ნინო მილანში გააგრძელებს.

აშშ-ს ეოკ-ი უპრეზიდენტოდ დარჩა

აშშ-ის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა სანდრა ბოლდუინმა თანამდებობიდან გადადგომის წერილობითი თხოვნით მიმართა ეოკ-ის აღმასკომს, რაც დაუყოვნებლივ დაკმაყოფილდა. ზოგიერთი მონაცემებით, გადადგომის მიზეზი გახდა აღმასკომის წევრთა უნდობლობა ამ ორგანიზაციის პრეზიდენტისადმი.

„მე ვუსურვებ ყველაფერ საუკეთესოს ოლიმპიურ მოძრაობას და ყველას, ვისაც სჯერა მისი იდეალების. მე ვიღებ მთელ პასუხისმგებლობას ყველა შეცდომაზე, რაც დავუშვი. ოლიმპიური კომიტეტი, ჩვენი ათლეტები და მოხალისეები სამუდამოდ დარჩებიან ჩემს გულში" — თქვა გამოსამშვიდობებელ სიტყვაში ბოლდუინმა.

მუშავდება დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი წესები

დოპინგსაწინააღმდეგო მსოფლიო სააგენტო, რომელიც მთავარი კოორდინატორია სპორტში დოპინგის საწინააღმდეგო ბრძოლაში, ახალი წესების პროექტი შეიმუშავა. დოკუმენტის მთავარი არსია გამოაცალკევონ ის სპორტსმენები, რომლებიც შეგნებულად და ხელოვნურად ცდილობენ აიმაღლონ თავიანთი ფიზიკური შესაძლებლობები. ეს ნაბიჯი ნაკარნახევია იმით, რომ ზოგჯერ სპორტსმენს მედალს ჩამოართმევენ ხოლმე იმისთვის, რომ სამკურნალო წამლების ან სუსტი ნარკოტიკის პირადი გატაცებისთვის მიღების გამო მის ორგანიზმში აღმოჩნდა აკრძალული პრეპარატების ნაშთი.

ახალი წესით, აკრძალულ პრეპარატთა ჩამონათვალიდან ამოიღებენ მარიხუანას და იმ სხვა აღმგზნებ საშუალებებს, რომლებიც არ იწვევენ ადამიანის ორგანიზმში ფიზიკური პოტენციალის ხელოვნურ ამაღლებას. ასეთი ნივთიერებები, სამაგიეროდ, მოხვდებიან სხვა სიაში, რომელსაც ჰქვია „ქცევის კოდექსი". სასჯელიც განსხვავებული იქნება.

პროექტს უკვე გაეცვნენ ოლიმპიური კომიტეტების გენერალური ანსამბლეის წევრები, ამის შემდეგ დოკუმენტები გადაეცემა ქვეყნების სპორტულ ფედერაციებს და მთავრობებს, რათა 2003 წლიდან უკვე ამოქმედდეს. 2004 წლის ოლიმპიურ თამაშებში კი ამ წესს პირველად გამოიყენებენ.

გრძელდება სკანდალი ოლიმპიური პროგრამის თაობაზე

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომმა, სამი თვით გადადო თამაშების პროგრამიდან ხმლით მოფარიკავეთა გუნდური და რაპირისტთა შეჯიბრების ამოღების საკითხი. საკითხი ჯერ განიხილეს თურქეთში გამართულ ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესზე. ცვლილების აუცილებლობა მოფარიკავეთა ოლიმპიურ პროგრამაში ხმლით ფარიკაობაში ქალთა შეჯიბრების ჩართვამ გამოიწვია. აპრობირებული სახეობების ხარჯზე ახლის გაოლიმპიელებამ ტრადიციული საფარიკაო ქვეყნების დიდი პროტესტი გამოიწვია. საქმე იქამდეც მივიდა, რომ მსოფლიო თასის ეტაპებზე სპორტსმენებმა უარი განაცხადეს საფარიკაო ბილიკებზე გამოსვლაზე. ბევრმა ქვეყანამ, მათ შორის რუსეთმა, ლოზანაში სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოსაც მიმართა. პროცესიც აგვისტომდეა გადადებული, ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციის თხოვნით.

მძლეოსნობა **თბილისის ღია ჩემპიონატი**

მხოლოდ ტექნიკური შედეგები



ქალები. 100 მ: ა. ტოროსიანი, 12,4, ა. მანჯგალაძე — 13,0, ა. ონიაშვილი (სამივე — თბ) — 13,0; ***200 მ:*** ი. დუბინა (თბ) — 25,1, ე. ტყემალაძე (ოზურგ) — 26,0, მ. ინაშვილი (თბ) — 26,5; ***400 მ:*** ტყემალაძე — 59,1, თ. ესებუა (თბ) — 59,2, ინაშვილი — 1.00,3; ***800 მ:*** მ. ეფიმოვა — 2.35,8, ლ. დვალიშვილი — 2.39,1, ა. ტერ-კარაპეტიანი (სამივე — თბ) — 2.39,4; ***1500 მ:*** ნ. თათრაულიძე (ახმ) — 5.08,1, ს. ლაბაძე (ახალც) — 5.10,2, ნ. გუთნაიძე (ახმ) — 5.21,7; ***3000 მ:*** თათრაულიძე — 11,11,9, ლაბაძე — 11.31,4, გუთნაიძე — 11,45,4. ***თარჯი. 100 მ:*** ესებუა — 1.06,3; ***ამანათრბენი. 4X100 მ:*** თბილისი (ნ. აზარაშვილი, ქ. ბერიძე, ს. მაჭავარიანი, ა. მანჯგალაძე — 57.7; ***4X300 მ:*** თბილისი (ესებუა, ინაშვილი, ტყემალაძე, ქ. კუპატაძე) — 4.04,0; ***სამხტომი:*** დუბინა — 12.53; ***ბადრო:*** ნ. ელიზბარაშვილი (თბ) — 36,93, ს. კეთილაძე (ხონი) — 20,24; ***სიგრძე:*** ნ. ჯანელიძე — 5.40, ი. ხოროშევა — 5.16, მაჭავარიანი (სამივე — თბ) — 4.69; ***შუბი:*** მ. ნიკოლაიშვილი (თბ) — 38.29, ე. კეთილაძე (ხონი) — 33.43, ა. უთიაშვილი (თბ) — 30.25; ***ბირთვი:*** მ. ქევხიშვილი (გარდ) — 14.04, ელიზბარაშვილი — 11.72, ნიკოლაიშვილი — 9.58.

ვაჟების შედეგებს შემოგთავაზებთ „ლელოს" შემდეგ ნომერში.

29 მაისს

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში მართავს ფედერაციის ყრილობას. დასაწყისი 16 საათზე.

ელდარ მალხაზიშვილის ფოტო

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის IV კურსის სტუდენტი, მოჭიდავე ხვიჩა ელოშვილი გამარჯვებული გამოვიდა ვიქტორინაში, რომელსაც ჯილდოდ ეს უცხოური ავტომობილი გადასცა გიორგი თოფაძემ.

ბავშვთა და მოზარდთა სპორტი ● ჭადრაკი

მისასალმებელი თაოსნობა

ამჟამად მსოფლიოში განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა ბავშვთა ჭადრაკს. მრავალ ქვეყანაში (აშშ, ინგლისი, ესპანეთი, ვენესუელა და სხვ), მათ შორის საქართველოშიც, სასკოლო განათლებაში ერთ-ერთ საგნად ჭადრაკი შემოიღეს. მეცნიერები ფიქრობენ, რომ ჭადრაკს ახალგაზრდობის ნეგატიურ მოვლენებთან, კერძოდ, ნარკომანიასა და დამნაშავეობასთან ბრძოლის მდიდარი შესაძლებლობები გააჩნია. ასეთი პროექტი მოიწონა და განიხილა აშშ-ს კონგრესმა. 1996 წელს საქართველოს პრეზიდენტის ე. შევარდნაძის ბრძანებულებით ჩვენს რესპუბლიკაში რამდენიმე სკოლასა და ლიცეუმში დაწესდა ჭადრაკის ექსპერიმენტული სწავლება.

ამ შესანიშნავმა წამოწყებამ ახალი საზრუნავი გაგვიხადა. უპირველესად სასწავლო პროგრამისა და სახელმძღვანელოს შექმნა. როგორ არ არის სახელმძღვანელოები, მაგრამ არა დამწყებთათვის. ასევეა პროგრამაც. ამიტომ ჩვენში ყველა მწვრთნელი-მასწავლებელი ბავშვებს თავისი ცოდნისა და გამოცდილების მიხედვით აზიარებს. ასე რომ არ იყოს, ამაზე პირველ ყოვლისა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის მესვეურებმა უნდა იზრუნონ, მით უმეტეს, რომ ფედერაციასთან არსებობს ბავშვთა ჭადრაკის კომისია.

სასიკეთოდაა დამხმარე სახელმძღვანელოების შექმნის საქმე. ახლახან გამოიცა ცნობილი მწვრთნელების ა. მაჩიტიძისა და ა. არსენიძის წიგნები.

აწ განსვენებულმა სამტრედიელმა მწვრთნელმა ა. მაჩიტიძემ მოასწრო თავისი ნაშრომის „საშამათო ფინალების" (სამტრედია, 2001 წ., ტირაჟი 500 ეგზ., გვ 300) მხოლოდ პირველი ტომის პირველი ნაწილის დაბეჭდვა. მას ჩაფიქრებული ჰქონდა ოთხ ტომად გამოეცა მეფეზე შეტევის სხვადასხვა საშუალებები და მეთოდები, მაგრამ არ დასცალდა.

ა. მაჩიტიძის წიგნი გამოადგება არა მხოლოდ დამწყებთ, არამედ საშუალო დონის მოჭადრაკეებსაც. წიგნში უხვადაა მოყვანილი სამაგალითო პარტიები, პოზიციები და საშამათო ფინალები, აგრეთვე, მაგალითები კორიფეთა შემოქმედებიდან.

უდავოა, რომ ა. მაჩიტიძის ნაშრომი კარგ სამსახურს გაუწევს დამწყებებთან მომუშავე მწვრთნელებს.

ქუთაისის სპორტული სკოლის პედაგოგმა ა. არსენიძემ თავად შეადგინა დამწყებთათვის ჭადრაკის სვლების, ქიშის და შამათის სწავლების პროგრამა და მის მიხედვით მოამზადა ხუთი ბროშურა — „ჭადრაკი" (ქუთაისი, 2002 წ., ტირაჟი 500 ეგზ. გვ. 32), რომელთაგან ოთხი უკვე დაიბეჭდა.

აქვე უნდა ითქვას, რომ ა. არსენიძემ დაამთავრა საქართველოს ფიზაღზრდისა და სპორტის აკადემია ჭადრაკის სპეციალობით და შემდგომ ასპირანტურა. ასე რომ, სპეციალური ცოდნით აღჭურვილმა ახალგაზრდა მწვრთნელმა მისასალმებელი საქმე წამოიწყო.

ანზორ მაჩიტიძე
საშამათო ფინალები

ა. არსენიძის თითოეულ ბროშურაში მოცემულია შვიდი გაკვეთილი. თითოეულ მათგანს თან ერთვის „შევამოწმოთ ჩვენი თავი". ტესტები, დავალებები და წვრილ-წვრილი ისტორიული ამბები, რაც სიხალისეს მატებს გაკვეთილებს. კარგია ისიც, რომ თითოეული გაკვეთილი ილუსტრირებულია სახალისო ნახატებით.

ქუთაისის პირველ და მეორე დაწყებით სკოლაში უკვე ასწავლიან ამ პროგრამით (ა. არსენიძე, ნ. ვარდოსანიძე), აგრეთვე, 22-ე და 30-ე საშუალო სკოლებში (ნ. ჩარკვიანი, ვ. ერისთავი). აღსანიშნავია, რომ მე-2 დაწყებითი სკოლის დირექტორის ც. ჯაფარიძის მონდომებით სკოლაში ჭადრაკის კაბინეტი გაიხსნა.

ასეთი მამულიშვილური მიდგომით ჭადრაკი კიდევ უფრო ბავშვების თამაშად იქცევა. ჭადრაკს, ადამიანის გონების სამკაულს, ყველა უნდა თამაშობდეს.

თენგიზ გიორგაძე

მასწავლებელთა მასწავლებელი!



ასეთი პატივი ერთეულთა ხვედრია მხოლოდ. ვისაც პედაგოგთა კადრების აღზრდაში გაუტარებია ათეული წლები, გამორჩეულად დასაფასებელია, რადგან ქვეყნად არ არსებობს უფრო უკეთილშობილესი პროფესია — იყო მასწავლებელი!

ვალენტინ ნოსკოვი 1945 წლიდან ემსახურება ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში კვალიფიციურ სპეციალისტთა აღზრდას. მის ხელში თაობებმა გაიარა, რომლებიც ღირსეულად მოღვაწეობდნენ და მოღვაწეობენ, როგორც ფიზიკური აღზრდის ისე, სპორტის სფეროში. თვით ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში არაერთი მისი აღზრდილი მუშაობს დღესაც.

თუკი საქართველოში ვინმეს წონადი წვლილი შეუტანია სათხილამურო სპორტის განვითარებაში, ვალენტინ ნოსკოვი, ერთ-ერთი გამორჩეულია მათ შორის. ყმაწვილობიდან სათხილამურო სპორტს თავადაც ეზიარა, იყო საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი. ამასთან, წარმატებით გამოდიოდა მძლეოსნობაში — იყო საქართველოს ნაკრების წევრი. შემდეგ შრომითი საქმიანობაც ფიზიკურ აღზრდას და სპორტს დაუკავშირა, უპირველესად, ისევ სათხილამურო სპორტს და მძლეოსნობას, რომელიც უნარიანად შეუხამა კვლევით საქმიანობას, სპორტსმენთა აღზრდას. სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობის ფართო სპექტრის ქართულ და რუსულ ენებზე 300-მდე გამოკვლევის, ნაშრომის და სტატიის ავტორმა, 70-იან წლებში მთელი ოთხი წელიწადი იმუშავა საციგაო სპორტში საკავშირო სამეცნიერო-კვლევით კომპლექსურ ჯგუფში. მრავალი წლის მანძილზე საქართველოს მოთხილამურეთა სამეცნიერო უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობა ჰქონდა დაკისრებული. მთელი 27 წლის განმავლობაში კი საქართველოს მოთხილამურეთა ნაკრების მწვრთნელად იმუშავა, მოამზადა მრავალი სპორტის ოსტატი. 1945 წლიდან მოყოლებული მას სისტემატურად ირჩევდნენ სათხილამურო სპორტის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილედ თუ მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარედ.

ცხოვრებაში ავტორიტეტი და წარმატება მხოლოდ მაღალპროფესიონალიზმს არ მოაქვს. ვალენტინ ნოსკოვმა ეს დაიმსახურა პიროვნული ღირსებებითაც. თავმდაბალი, უაღრესად კოლეგიალური, გულთბილი, შესანიშნავი მეოჯახე — აი როგორ იცნობენ ამ უაღრესად კეთილშობილურ პიროვნებას.

ვალენტინ ნოსკოვმა თითქმის 55 წელიწადი გაატარა ალპინიზმისა და სათხილამურო სპორტის კათედრაზე, არა მხოლოდ მასწავლებლის, უფროსი მასწავლებლის, არამედ ერთ-ერთი ხელმძღვანელის რანგშიც, თბილისის „დინამოში" საერთო ფიზიკური მომზადების ხელმძღვანელად ტრადიციულად მხოლოდ გამორჩეულ სპეციალისტებს ირჩევდნენ. ეს პატივი ვალენტინ ნოსკოვს წილად ხვდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა ამ გუნდში თამაშობდნენ ბ. პაიჭაძე, გ. ანთაძე, მ. ბერძენიშვილი... მწვრთნელი კი ა. ჟორდანია იყო. მეორედაც მიიწვიეს „დინამოში", როცა კლუბს სათავეში იდგა გ. კაჩალინი.

ამაგს ყოველთვის უფასებდნენ, რაც ჯილდოთა ვრცელ ნუსხაში აისახა. მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელისა და საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის წოდება.

დღეს უკვე 80 წლისა გახდა. ბევრს ეს დაუჯერებლად ეჩვენება, რადგან კვლავ ახალგაზრდული იერით და შემართებით დგას ქართული სპორტის სამსახურში.

თ. თომაშვილი

საქართველოს სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაცია დაბადებიდან 80 წლისთავს ულოცავს დვაწლმოსილ პედაგოგს, მწვრთნელს და სპორტის მუშაკს ვალენტინ ნოსკოვს.

„ბურთის გარდაცვალება ლანჩხუთურად“

ლერი სიხარულიძე

ასეთი უცნაური სახელწოდებისაა ცნობილ კინორეჟისორ ლერი სიხარულიძის ახალი ფილმი, რომელიც ჩვენს ეროვნულ საუნჯეს ლელობურთს ეძღვნება. ამ რეჟისორს ჩვენი და არა მხოლოდ ჩვენი საზოგადოებრიობა, კარგად იცნობს სპორტულ თემებზე გადაღებული ფილმებით, როგორიცაა: „უბურთო ფეხბურთი“ (გელა კანდელაკთან ერთად), „ტრიბუნების ოთხი მხარე“, „გურია — 90“, „ბახმაროს დოღი“ (სამივე ფილმი ირაკლი მახარაძესთან ერთად), „ლელოს შემობრუნება“ (ირაკლი მახარაძესთან და პაატა ტაბაღუასთან ერთად). ახლა ლერი სიხარულიძემ კიდევ ერთხელ სცადა ფირზე აღებექდა და მომავალ თაობებისთვის შემოენახა ეროვნული სულითა და გენით გაჯერებული ეს უძველესი ხალხური თამაშობა — ლელობურთი.

„ლელობურთზე ფილმის გადაღებას ამჯერად მეორედ მოვკიდე ხელი. ვცდილობ, ბოლომდე ჩავწვდე მასთან დაკავშირებულ ყველა ნიუანსს და მერე, ალბათ, უფლება მაქვს განვაცხადო, რომ გარკვეულწილად, ლელოს ექსპერტადაც გამოვდგები“ — ამბობს ბატონი ლერი.

● ***საიდან ასეთი მძაფრი ინტერესი ამ თამაშისადმი?***

— სხვათა შორის, ამას ბევრჯერ მეკითხებიან და ზოგიერთი იმასაც მეუბნება, რას გადაყვი ამ ნახევრად ველურ თამაშს.

● ***მაინც რა არის თქვენთვის ლელო?***

— რაც დრო გადის და რაც უფრო მეტი შეხება მაქვს ამ თამაშთან უფრო ღრმად ვრწმუნდები, რომ ლელობურთი, ეს არის ქართველი ხალხის უნივერსალური პორტრეტი, რომელშიაც კარგად მოჩანს მისი სიკისკასე, სიცოცხლის სიყვარული, სულის ფანტასტიური სიმხნევე, რაც გაჯერებულია საოცარი ღვთისმოშიშობით.

ლელოზე ჩემი პირველი ფილმის თანაავტორი ირაკლი მახარაძე სადღაც წააწყდა სერგო ღლონტის ჩანაწერებს გურიაზე. ეს ჩანაწერი 1915 წლითაა დათარიღებული და აღწერილია თუ რა ხდებოდა ლელობურთის დროს დვაბზუში.

სერგო ღლონტის წიგნში „გურული კილო“ (1915 წ.) ვკითხულობთ:

„– აქანე, ამ ტევრში დიდი თამაშობა იცოდენ. ქვედაბახვს ორი საზოგადოება რომ მოსულიყო, ბულთს ვერ წაართუმდა. ერთხელ ესოფ ქიქოძემ მეინდომა, ცხენით წიელო ბულთი. მეიყვანა ნადი: ასკანლები და ვაკიჯვრელები. წეილო ბულთი, მარა არ გაატანენ. ცხენზე რომ იჯდა და მიაჭიანებდა, დიეწია აგია თენეიშვილმა, შამუახტა ცხენზე, გადმუაგდო ძირს. შეიქნა ნამეტარი ბდღვნაი, ნამეტარი წეკვა, მარა ქვედაბახვს მაინც ვერ წაართუეს ბულთი. გაჩთა მიორეხელ კიდომ თამაშობა. ქვედაბახველები ცოტა იყვენ: საცხა წასული იყვენ დღეობაზე. ზედაბახველები ბევრი იყვენ. იშონეს დროი და წაგუართუენ ბულთი. გეიქცენ და მივსდევთ, რომ დევედევნეთ, დაგვიჭირენ აი თუთხმეტი კაცი და ზრუგზე შესმული წაგვიყვანენ კარქა მანძილზე. ზედაბახველებმა ჩვენზე თქუენ: ევიყვანოთ და კანცელარიაში დავანწყვტიოთო. ამ დროს ანტონა ნაკაიძემ მეიგდო ბულთი ხელში და გუუწვა ბაღდადისკენ, მარა მისი დაწევა აღარ იქნა. ბახვში ატანილი ბულთი ქე დააბრუნა ანტონამ.

თ. სალუქვაძე. ქვედაბახვი“

— ეს იყო 1981 წელს, პირველად ვიხილე ლელო ლანჩხუთის მეზობლად შუხუთში.

შუხუთის ლელო დღესაც ენდემად რჩება, სპორტულ ენდემად. სერგო ღლონტის მიხედვით ლელობურთი ფართოდ იყო გავრცელებული და არა მხოლოდ გურიაში.

● ***ვინ ხვდებოდნენ ერთმანეთს?***

— ზემოურები და ქვემოურები. ტრადიციაა ასეთი. ზემოურები და ქვემოურები დიდი ხანია არკვევენ ერთმანეთში ურთიერთობას. სხვათა შორის, ისინი ძალიან ბევრჯერ შეხვედრიან და რომ ჰკითხოთ, ვის სასარგებლოდაა ანგარიში, დანამდვილებით ვერ გეტყვიან, უფრო სწორად გეტყვიან, მაგრამ ერთიც თავისთავს თვლის დაწინაურებულად ამ შეხვედრებში და — მეორეც.

● ***რას ჰქვია ქვემო და ზემოურები, ერთ სოფელზეა ლაპარაკი?***

— არა, რა თქმა უნდა. რკინიგზის ლიანდაგის გასწვრივ საჭინკიეს და საკირეს ღელების გაღმა-გამოღმა, ანუ შუხუთიდან — ბათუმამდე ქვემოურებად მოიხსენიება, აქეთ — თბილისამდე ზემოურებად. ასე რომ, ფაქტობრივად, ლამის მთელ საქართველოს შეუძლია მიიღოს მონაწილეობა.

● ***ლანჩხუთელების გარდა, სხვებიც თამაშობენ?***

— ბევრი საგანგებოდ ჩადის სტუმრად, რათა ჩაერთოს თამაშში, ოღონდ, ზემოხსენებულ ორიენტირს პრინციპულად იცავენ.

● ***დავუბრუნდეთ ისტორიას. ალბათ ბევრი საინტერესო მასალა მოგეპოვებათ...***

— შუხუთური ლელოს ისტორია მეტად საინტერესოა. იქ, სადაც ახლა თამაშდება ლელობურთი, სოფელ შუხუთის ცენტრში (სამი ისტორიული მუხის არე-მარეზე) 150 წლის წინათ, 1854 წელს, რუსეთ-თურქეთის ომის დროს, რომელიც ყირიმის ომის სახელითაა ცნობილი, კავკასიის ფრონტზე მოხდა დიდი ბრძოლა. თურქეთის ავანგარდი, რომლის ძირითად ბირთვს შეადგენდნენ იანიჩრები, შეეჯახა ქართულ და რუსულ ერთობლივ ძალებს. საქმე იმაშია, რომ მთავარი ფრონტი, მართალია, ყირიმში იყო, რა თქმა უნდა, ოსმალებმა კავკასიაც არ დაივიწყეს და აქ ორი ფრონტი გახსნეს — ახალციხისა და ქობულეთის. ქობულეთის (ქობლეთის) ფრონტს სარდლობდა გენერალი ანდრონიკაშვილი, რომელმაც სტრატეგიული მოსაზრებით, უკან დაიხია და დათმო ოზურგეთი (ოზრუგეთი). მთავარი ბრძოლა მოხდა შუხუთ-ნიგოითის მიდამოებში. ისტორიაშიც ასე შევიდა ნიგოითის ბრძოლა. თურქების ავანგარდს ამ ბრძოლაში რომ გაემარჯვა, იოლად გადალახავდნენ რიონს და დიდი უბედურება მოელოდა დასავლეთ საქართველოს. ახალციხიდან კი მაშველი ძალა მოიწევდა ქართლის დასაპყრობად. ასე რომ, ნიგოითის ბრძოლაში გადაწყდა არა მხოლოდ დასავლეთ საქართველოს ბედი. ზაქარია ანდრონიკაშვილს მხარში ედგა პოლკოვნიკი დავით ერისთავი. ამ ბრძოლის შესახებ მომითხრეს ძმებმა, პროფესორებმა ფრიდონ და იური სიხარულიძეებმა. სწორედ ამ ბრძოლაში ჭყონაგორელმა აზნაურმა არისტო ჭყონიამ მოჰკლა მოღალატე ხასამბეგ თავდგირიძე. ამ სასჯელს მიაბა ხალხმა დღეს ესოდენ ცნობილი ჰიმნი — სიმღერა ხასანბეგურა. აი, ამ გამარჯვებას მიეძღვნა აღდგომა დღეს ლელობურთის გათამაშება. მაგრამ, როცა შემოვიდა საბჭოთა ხელისუფლება, მან ლელო აითვალისწუნა, აკრძალვასაც კი შეეცადა და ხალხმა იგი აღდგომიდან საპირველმაისოდ გადაიტანა — გადაარჩინა. მაშინ დაიწყო საყდრების ნგრევაც. იქ, შუხუთში, სადაც მე პირველად ვნახე ეს თამაში, სალოცავის ნაგრევებიღა დამხვდა. ამდენად ის ეშხი, რელიგიური სიღრმე და სიმაღლე, რაც ლელობურთს ახლდა ოდითგანვე, თითქმის დაიკარგა. ამიტომ პირველი ფილმი „ლელოს შემობრუნება“ გავშალეთ საპირველმაისო აღლუმის ფონზე. ეს ირონია ფილმშიც აშკარად შესამჩნევია.

შუხუთის წმ. გიორგის ეკლესია

● ***რით ახსნით ახლა თქვენს ხელახლა მიბრუნებას ამ თამაშისადმი, ქართული რაგბის წარმატებებით ხომ არა?***


შუხუთი, აღდგომის ლელობურთი.

— „მე არა ვარ დამნაშავე“, დამნაშავეა წარმომავლობით შუხუთელი ბიზნესმენი, თავისი კუთხისა და ლელოს დიდი პატრიოტი თემურ ჩხაიძე, რომელმაც შემომთავაზა „მაცდური“ იდეა — კინემატოგრაფულად, ერთად ამესახა მის მიერ წამოწყებული ეკლესიის მშენებლობა და ლელო. თქვენ რას იზამდით?

● ***მე დავფიქრდებოდი...***

— მე კი დაუფიქრებლად დავთანხმდი.

● ***ახლა ხომ არ ნანობთ?***

— არავითარ შემთხვევაში. ამოცანა აღმოჩნდა წარმოუდგენლად რთული, ღრმა და საპატიო, ვიდრე წინა ფილმში. წინანდელ და ახლანდელ ფილმშიც დაცულია შემდეგი რიტუალი: როგორც ჩანს, ძველადაც არსებობდა და სამი ათეული წლის წინათ კვლავ აღსდგა ერთი შეხედვით უჩვეულო ტუალი — გამარჯვებულ გუნდს ბურთი აუცილებლად მიაქვს იმ წელს ან ადრე გარდაცვლილ სახელოვანი ვაჟკაცის — ლელობურთელის საფლავზე. ბურთის ხელში ჩაგდებას და ლელოს გატანას ახლავს წრფელი რელიგიური განცდა. გამარჯვება და ამის შედეგად ბურთის დასაკუთრება ითვლება უაღრესად საპატიო რელიქვიად და ნადავლად. პირადად მე 26 ასეთი ბურთი მაქვს გადაღებული, აქედან 5-6 საფლავზე მხოლოდ ბურთის ნაშთებიღაა დარჩენილი. ამიტომ შევარჩიე ფილმის ნათლობის სახელად **„ბურთის გარდაცვალება“. გაიხსენეთ, რაგბის ტერმინები: „ბურთის გარდასახვა“, „ბურთის დამიწება“.**

● ***ერთი სული მქონდა როდის გკითხავდით თუ რა დაედო საფუძვლად ახალი ფილმის სათაურს. ახლა ყველაფერი ნათელია. დიდი მადლობა! აქვე მინდა გკითხოთ, როგორია თქვენი დამოკიდებულება რეალობისადმი — დღეს თავად ეს თამაში ხომ არ არის „მომაკვდავი“? ისე, როგორ მოკვდა მოდერნიზებული, სტადიონებზე რაგბის წაბაძვით გათამაშებული ლელო...***

— მოდერნიზებული ლელობურთი ჩემში არასდროს იწვევდა აღტაცებას, რადგან მას ხალხური ენერგიის სტიქია ჩამოაცილეს ყველაფერში წესრიგის მოყვარულმა კომუნისტებმა. მაგრამ სტიქიური ლელო, დავარქვათ მას შუხუთური ლელო, მაინც საჭიროებს რაღაც წესრიგს, სხვანაირად, დეგრადაციის უტყუარი ნიშნები იკვეთება. უპირველესად — ლელოს „ტრასა“ (მოედანი) გასაწმენდი. ლელოს მთავარ მტრად (რაკი ეს თამაში კვლავ დაუბრუნდა აღდგომას), მიმაჩნია მთვრალი ენთუზიასტები და ასე მხოლოდ მე არ ვფიქრობ. ნასვამებს „გირგლში“ ანუ შერკინებაში შესვლა უნდა აეკრძალოთ.

● ***მერედა, „ვინ შეაბამს კატას ეჟვანს“?***

— „კომიტეტი!.. მსაჯულთა ბრიგადა. სხვაგვარად კარგავს ლელო ლაზათს! სპორტულ სიდიადეს!

თემურ ჩხაიძე და თენგიზ ჭიჭეიშვილი

არის „აზრი“, რომ ლელოს მარტო ზემოური და ქვემოური შუხუთელები უნდა თამაშობდნენ!.. მე ამ „იდეას“ არ ვემხრობი!.. თამაში მასშტაბს დაკარგავს.

მართალია, ქვეყანას უჭირს, მაგრამ ეროვნულ საგანძურზე უარის თქმას, ვერანაირი სიდუხჭირით ვერ გაამართლებ. იცით, რა შევნიშნე? ახლანდელ ლელოს სულ სხვა ელფერი ჰქონდა — თავის თავში ეტყობა მან მაინც შეინახა ამოუწურავი სიკისკასე, სიჩაუქე, სპორტული სიშმაგე. საერთოდ, სირცხვილია, რომ ხალხური ლელო განიცდის დეგრადაციას.

● ***ვიცით, რომ ბურთი ხანდახან იხევა კიდეც, ხან ახერხებენ თამაშში ახლის შეგდებას, ხან ვერა, ნაფლეთებით მაინც მიიწევენ წინ...***

— დიახ, ეს ჩვეულებრივი ამბავია. ასე მოხდა წლეულსაც. მაგრამ ბურთი ამჯერად დახიეს შეგნებულად — ჯაყვით გაფატრეს დამარცხებისთვის განწირულებმა. ლელობურთელებისთვის რა გითხრათ, ჩემთვის კი ეს იყო უაღრესად მძაფრი კინო (ამას ნახავთ!).

● ***თქვენი აზრით, ეკრანიდან გაუგო გემო მაყურებელმა ლელოს?***

— ყოველთვის იყო გაორებული დამოკიდებულება. პირველი ფილმის მასალის ჩვენებისას მძვინვარე აღშფოთება გამოხატა მთავარმა რედაქტორმა ბატონმა იოსებ (სოსო) კორინთელმა: როგორ შეიძლებაო ასეთი ფილმის ჩვენება, ესაა ქართველთა ეროვნული სიამაყის შეურაცხყოფაო. განსაცვიფრებელი იყო აკაკი ბაქრაძის რეაქცია (აღშფოთება) — რატომ აცვიათ მოთამაშეებს ასე ცუდად, ანდა, წელზემოთ შიშვლები რატომ არიან, ლელოს სათამაშოდ ხალხი სადღესასწაულოდ ჩაცმულ-დახურული დადიოდაო. ჩემი მეგობარი აკაკი ვერაფრით დავარწმუნე, რომ ფილმი დადგმული არ იყო. პრესა კი კარგა ხანს, საერთოდ, დუმდა. ერთმა ჩემმა ახალგაზრდა კოლეგამ ყველას „გადაუხურა“ ფილმის გარჩევისას. „ფუი, ეს რა თამაშია, მოხუცებიც კი თამაშობენ“-ო.

უნდა გენახათ, ჩვენგან განსხვავებით, რა აღფრთოვანებით მიიღეს ის ფილმი ცენტრალურ ტელევიზიაში შაბოლოვკაზე (ფილმი რუსულად უბრწყინვალესად მიჰყავს კოტე მახარაძეს კადრს გარედან), თუმცა ეკრანზე გაშვება მხოლოდ ერთხელ ეღირსა, ისიც სათაური და ტიტრები ავტორებითურთ მიაჭრეს. მერე გამიმხილეს: თბილისიდან ინფორმაცია მივიღეთ — მთელი ფილმი დადგმულიაო. რა თქმა უნდა, მე ვიცი, ვინც იყო ამ პროვოკატორული ინფორმაციის ავტორი.

საერთოდ, დოკუმენტურ კინოში ტელეფილმების სპეციფიკამ დიდი აღრევა შეიტანა — ფილმი და რეჟისორი დაერქვა ყველას და ყოველივეს, ვისაც კი მიკროფონით ტელეინტე[illegible] — უმეტესად უფერული „ხელეწიფება“, ასეთი ხერხებისგან „ლელოს შემობრუნება“ დაზღვეულია.

● ***ასეა თუ ისე, დღეს ლელო შემოგვრჩა მხოლოდ ლანჩხუთში. რას აპირებს იქაური ხელმძღვანელობა. ალბათ, თქვენს გულისტკივილს გაანდობდით...***

გამგებელი თენგიზ ჭიჭეიშვილი აპირებს შექმნას ლელოს მუდმივმოქმედი კომიტეტი. გეგმაშია შუხუთის კლუბში დაფუძნდეს ლელოს მუზეუმი. თუმცა ჯერ თავად ეს კლუბია აღსადგენი. იმედია, ყველაფერი კარგად იქნება, თენგიზი პატრიოტი კაცია.

● ***ისევ ახალ ფილმს დავუბრუნდეთ. როდის ვიხილავთ ფილმს ეკრანზე?***

— დამრჩა რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაღება ფინალისთვის.

● ***კიდევ? მაინც რა (?!)***

— პარაკლისი ბრძოლის ველზე იმ ომში დაღუპულთა მოსახსენიებლად (2004 წელს 150 წელი სრულდება), „ხასანბეგურას“ მემორიალის აღმართვის დღესასწაული და ბიჭუნების ლელო (სანახევროდ გადაღებულია), ძალიან ვეცდები „ხასანბეგურას“ მემორიალში ჩავრთო მოწამეთის ტაძარში უკვდავყოფილი ძმები მხეიძეების მამულიშვილური თავდადების მოტივი.

● ***ხარჯები?***

— აღარ არის, კარგა ხანია...

● ***ეხე იგი, უნდა იშოვნო!.. მაინც რამდენი, თუ საიდუმლო არ არის?***

— ათი ათასი (ლარი)

● ***იშოვნი?***

— ვერა!

● ***აბა, რა უნდა ქნა?***

— უნდა ვიშოვო!!!

● ***ღირს ეს ჩიტი ბრძოლად?***

— ეს არაა ჩიტი, ეს ფასკუნჯია!..

ესაუბრა
თ. თომაშვილი

[illegible]

ფინალი

უხასიათო „ტორპედო“, მოხერხებული „ლოკომოტივი“ შემდგარი რევანში, არშემდგარი დუბლი

დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასი

26 მაისი. ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი.

«ლოკომოტივი» (თბილისი) — «ტორპედო» (ქუთაისი) 2–0

ლოკომოტივი: ლომაია, ბალაშვილი, ორბელაძე, სალუქვაძე, ონიანი, გელა ქორიძე (დავითნიძე 90), ჭიჭველიშვილი (ლაცაბიძე 87), გოგიჩაიშვილი, სირაძე, დავითაშვილი (რუსია 67), ზ. ჯანაშია.
„ტორპედო“: სტურუა, აბრამიძე, მახვილაძე, ხვადაგიანი, თოდუა (ახალკაცი 68), ლ. ჭელიძე, ქემოკლიძე, დიდავა, იონანიძე (შ. ბაბუნაშვილი 46), ასათიანი, პოროშინი (ქუთათელაძე 59).
გოლები: 1-0 დავითაშვილი (35), 2-0 ზ. ჯანაშია (64).
გააფრთხილეს: დიდავა, ასათიანი, ბალაშვილი.
მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი), ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში). დ. სანაია (სოხუმი).
ინსპექტორი: ა. მილჩენკო (სოხუმი).

რკინიგზელებმა თასი დაიბრუნეს. „ლოკომოტივმა“ „ტორპედოს“ შარშან ვაკიდან იმერეთში წაღებული თასი უკან ჩამოატანინა და სულ ცოტა ერთი წლით თავად დაეპატრონა სა-[illegible]. ბოლო დროის სათასო ფინალების უცვლელ და მუდმივ მონაწილეთა გუშინწინდელი პაექრობა, სამწუხაროდ, ადრინდელებივით გამოუცნობი, აზარტული და დაძაბული ვერ გამოდგა. ფინალის დღეს მთავარი მწვრთნელის რევაზ ძოძუაშვილის გარეშე მინდორზე გასული ჩემპიონი ასეთი უილაჯო და უხასიათო წლევანდელ სეზონში გულშემატკივრებს არ ახსოვთ. „ტორპედო“ თავიდანვე განწირულივით თამაშობდა და მეტოქეს ვერაფერი დაუპირისპირა. თითოეული მათი მცდელობა, თამაში რაიმეთი გაემწვავებინათ, უშედეგო გამოდგა. რკინიგზელთა წითელი ლაშქარი უფრო მოწადინებული და გამარჯვებისკენ შემართული იყო. თამაში, თითქოს სწრაფ ტემპში დაიწყო. პირველ წუთებზე თბილისელებმა რამდენიმე კუთხური ჩამოაწოდეს, თანდათან მათი უპირატესობა თვალსაჩინო გახდა, უკვე მე-5 წუთზე ჯანაშიას შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ იჩქარა და ახლო მანძილიდან ბურთი კარს ააცილა. მე-11 წუთზე ისევ ჯანაშიამ შეუტია სტურუას, მაგრამ უშნოდ დაარტყა და ბურთი მეკარემ აიღო. 25-ე წუთისთვის თამაში დამშვიდდა. 35-ე წუთზე კი ანგარიში გაიხსნა. საშუალო მანძილიდან სირაძის დარტყმული ბურთი სტურუამ კი მოიგერია, მაგრამ მეკარისაგან ასხლეტილ ბურთს პირველი მკვირცხლი დავითაშვილი შეეგება და თავით კარში გადაგზავნა.

მეორე ტაიმი დუნედ დაიწყს გუნდებმა და უნდა ითქვას, რომ ასევე დასრულდა მატჩიც. ერთადერთი, რამაც დაახლოებით ათი ათასი მაყურებელი გამოაცოცხლა, 64-ე წუთზე ჯანაშიას გოლი და ტრადიციული მალაყი იყო. ორბურთიანი პასივის გაბათილებისათვის ქუთაისელებს ბევრი არ უბრძოლიათ, კარგად ჩანდა, მათ ამისათვის არც ძალა და არც სურვილი არ ჰქონიათ. სერგო კოტრიკაძისა და გია ჯიშკარიანის შეგირდებმა კი სეზონი მაჟორულ ნოტაზე დაასრულეს. ჩემპიონატის „ვერცხლს“ ეროვნული თასიც მიაყოლეს. თასის მეთორმეტე გათამაშების ფინალი თავისებურად ისტორიული გამოდგა: ამიერიდან ქართული ფეხბურთის ლეგენდის დავით ყიფიანის სახელობის ეროვნულ თასს შეეცილებიან ერთმანეთს ფინალში გასული გუნდები. მისი პირველი მფლობელი კი თბილისის „ლოკომოტივი“ გახდა, და ეს ალბათ, გარკვეულწილად სიმბოლურიცაა. კიდევ ერთი ისტორიული ფაქტი. თასის მფლობელი, ასევე, ფულად ჯილდოსაც მიიღებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისაგან. ასე რომ, „ლოკომოტივის“ კაპიტანმა კახა გოგიჩაიშვილმა სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტ რომან შოთაძისაგან თასთან ერთად, 10 000 ლარის ჩეკი ჩაიბარა. რკინიგზელთა კაპიტანმა ქუთათურებს სამრაუნდიანი სათასო პაექრობიდან თანაგუნდელებთან ერთად ორში აჯობა. „ტორპედომ“ კი „დუბლი“ ვერ შეასრულა. მატჩის საუკეთესო ფეხბურთელებმა — რკინიგზელმა კახაბერ გოგიჩაიშვილმა და ტორპედოელმა მალხაზ ასათიანმა საფეხბურთო სკოლა „საბურთალოს“ ხელმძღვანელისგან კახაბერ ჭუმბურიძისგან სამახსოვრო საჩუქრები მიიღეს. მუდმივმა რეკორდსმენმა და ფენომენალური მონაცემების, გინესის რეკორდების წიგნში შესულმა გოდერძი მახარაძემ კიდევ ერთხელ განაცვიფრა და გაახარა მაყურებელი თავისი რეკორდით. მან ხელბურთის ბურთი, ხუთ წუთში, 804-ჯერ აკენწლა.

საქართველოს თასის ყველა ფინალი

1990 ***„გურია (ლანჩხუთი)*** — „ცხუმი“ (სოხუმი) 1-0 (დ.დ.)
1991-92 ***„იბერია“ (თბილისი)*** — „ცხუმი“ (სოხუმი) 3-1
1992-93 ***„დინამო“ (თბილისი)*** — „დინამო“ (ბათუმი) 4-2
1993-94 ***„დინამო“ (თბილისი)*** — „მეტალურგი“ (რუსთავი) 1-0
1994-95 ***„დინამო“ (თბილისი)*** — „დინამო“ (ბათუმი) 1-0
1995-96 ***„დინამო“ (თბილისი)*** — დინამო (ბათუმი) 1-0 (დ.დ.)
1996-97 ***„დინამო“ (თბილისი)*** — „დინამო“ (ბათუმი) 1-0
1997-98 „დინამო“ (თბილისი) — ***„დინამო“ (ბათუმი)*** 1-2 (დ.დ.)
1998-99 ***„ტორპედო“ (ქუთაისი)*** — „სამგურალი“ (წყალტუბო) 0-0 (პენ 4-2)
1999-00 ***„ლოკომოტივი“ (თბილისი)*** — „ტორპედო“ (ქუთაისი) 0-0 (პენ 4-2)
2000-01 „ლოკომოტივი“ (თბილისი) — ***„ტორპედო“ (ქუთაისი)*** 0-0 (პენ 3-4)
2001-02 ***„ლოკომოტივი (თბილისი)*** — „ტორპედო“ (ქუთაისი) 2-0

ძოძუაშვილი გადადგა

ასეთი ხმები დაირხა გუშინწინდელი ფინალის შემდეგ. ეჭვი კი, მატჩზე ტორპედოელთა თავკაცის არყოფნამ დაბადა. პრესკონფერენციაზე ქუთაისელთა მწვრთნელმა სოსო ფრუიძემ გუნდთან რევაზ ძოძუაშვილის არყოფნის მიზეზად მისი შეუძლოდ ყოფნა დაასახელა. იმედია, ევროტურნირებამდე ჩვენი ჩემპიონი ნაყოფიერად დაისვენებს, ძალებს აღიდგენს და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩებს მომზადებული შეხვდება. კლუბის მომავლისა და გუნდთან მთავარი მწვრთნელის რევაზ ძოძუაშვილის მუშაობის თაობაზე კი დაწვრილებით და ზუსტ ინფორმაციას მალე შევიტყობთ.

P.S. რევაზ ძოძუაშვილის გუნდიდან წასვლის უმთავრეს მიზეზად კლუბის ირგვლივ არაჯანსაღი ატმოსფერო სახელდება. მომქანცველი ჩემპიონატი, ფსიქოლოგიური სტრესი, ზეწოლა, ასეთია, მწვრთნელის გადადგომის წინაპირობა. არადა, წლევანდელი სეზონი გუნდისთვის ნამდვილად წარმატებულია. „ტორპედო“ ჩემპიონია და თასის ფინალში გავიდა.

სლავა მეტრეველის თასზე

დამთავრდა სლავა მეტრეველის სახელობის თასის გათამაშება ფეხბურთში (1987 წელს დაბადებულთათვის).

აჭარა-გურიის ზონაში ათი გუნდი ეჯიბრებოდა ერთმანეთს ორი ფინალური საგზურისათვის.

ქებას იმსახურებენ ბათუმის „დინამოს“ ნორჩი ფეხბურთელები (მწვრთნელი ჯუმბერ მენაბდე), რომლებმაც 18-დან 17 მატჩი მოიგეს და მხოლოდ ერთი დაასრულეს ფრედ (ბურთების შეფარდება 47-13), 52 ქულა დააგროვეს და მოიპოვეს დასკვნით ეტაპზე მონაწილეობის უფლება. ასევე წარმატებით იასპარეზა ოზურგეთის „[illegible]“ (მწვრთნელი სოსო გაგუა)

„ჩემი აღსაზრდელების მიღწევით ცხადია, კმაყოფილი ვარ, მოკლედ რომ ვთქვა, ამდენი შეხვედრის თავის სასარგებლოდ დასრულება იოლი საქმე არ იყო. თავი ისახელეს ვაჟა ქორიძემ, გიორგი ქარცივაძემ, კახი მახარაძემ, გიორგი დიასამიძემ, თავის მხრივ მალხაზ ბერიძემ 16 გატანილი ბურთით ბომბარდირის პრიზი დაიბრუნა. ამ ფონზე ცხადია, რომ ყმაწვილ-კაცებს არა აქვთ სტაციონალური საწვრთნელი მოედანი. ხან ჩაისუბანში, ხან ანგისაში, ხან ახალსოფელში და, კიდევ სად გვიხდება აქეთ-იქით სიარული. ცოტაოდენი ხელშეწყობა რომ გვქონდეს, შედეგებიც გაცილებით უკეთესი გვექნება“ — გვითხრა ჯუმბერ მენაბდემ.

მიხეილ მესხის სახელობის თასზე



დასრულდა მიხეილ მესხის სახელობის თასის გათამაშება ფეხბურთში (1986 წელს დაბადებულთათვის).

აჭარა-გურიის ზონაში 11 გუნდის ტყავის ბურთის მომავალი ოსტატები ორი საგზურისათვის იბრძოდნენ.

ყველაზე უკეთ იასპარეზა ბათუმის „დინამოს“ I გუნდმა (მწვრთნელი კონსტანტინე გობეჯიშვილი), რომელმაც 20 შეხვედრაში მხოლოდ ერთი მატჩი დათმო და ერთიც ფრედ დაასრულა (ბურთების სხვაობა 52-12), და პირველ ადგილთან ერთად მერვედფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. ორი ქულით ჩამორჩა გამარჯვებულს ქობულეთის „ქობულეთი“ (მწვრთნელი მერაბ გოგიტიძე). ფინალურ ეტაპზე ასპარეზობის საგზური ამ გუნდმაც დაიმსახურა.

შეკითხვაზე, კმაყოფილია თუ არა თავისი აღსაზრდელების გამოსვლით, კონსტანტინე გობეჯიშვილმა გვითხრა: — „რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ, მახარებს ბიჭების ერთსულოვნება-შემართება. თითოეულმა გამიმართლა იმედები, განსაკუთრებით მინდა გამოვყო მეკარე შოთა მამინაშვილი, ბადრი ქათამაძე, მანუჩარ აბაშიძე, ლაშა რურუა, ნიკა გუგუშვილი, ედისონ სირაძე, ნიკა კილაძე, გიორგი კუკულავა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ რატი რეხვიაშვილმა ნამდვილი გოლეადორის ალღო გამოავლინა, წარმოგიდგენიათ, ცხრამეტჯერ დალაშქრა მეტოქეთა კარი.

- ***მოხვდებით ფინალისტთა შორის?***

— ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ შევეცდებით. ყველა მობილიზებული ვართ, რათა კარგად აღებული სტარტი წარმატებით დავაგვირგვინოთ.

ოთარ მურვანიძე,
„ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი აჭარაში.

რეგიონული ლიგა

აღმოსავლეთის ზონა
XXXIV ტური

ალაზანი — მაუდი 4-0
თბილისი — ზოოვეტი 0-3
მესხეთი — მრეტები 3-0
ჯავახი — კრწანისი 0-3
ცხუმი — ჭაბუკიანი 0-1
ვიტ ჯორჯია2 — ივერია 2-3
ოლიმპიკი — დინამო3 1-3
გორდა2 — ლიახვი 1-1
აკადემია — მერანი3 3-0

მცხეთა	**32**	**24**	**6**	**2**	**70-13**	**78**
ივერია	**32**	**23**	**2**	**7**	**87-41**	**71**
მაუდი	**33**	**22**	**5**	**6**	**55-30**	**71**
ალაზანი	**32**	**21**	**4**	**7**	**74-29**	**68**
ზოოვეტი	**32**	**20**	**2**	**10**	**63-34**	**62**
ჭაბუკიანი	**32**	**17**	**9**	**6**	**59-29**	**60**
ვიტ.ჯორჯ.	**32**	**17**	**7**	**8**	**70-32**	**58**
ცხუმი	**32**	**17**	**5**	**10**	**64-29**	**56**
ოლიმპიკი	**32**	**16**	**6**	**10**	**64-39**	**54**
მესხეთი	**32**	**16**	**2**	**14**	**44-43**	**50**
დინამო 3	**32**	**12**	**8**	**12**	**48-41**	**44**
აკადემია	**32**	**12**	**8**	**12**	**46-47**	**44**
ლიახვი	**33**	**12**	**3**	**18**	**43-62**	**42**
კრწანისი	**32**	**9**	**4**	**19**	**41-65**	**31**
გორდა2	**32**	**7**	**9**	**16**	**40-53**	**30**
მერანი3	**33**	**5**	**4**	**24**	**24-85**	**19**
თბილისი	**32**	**4**	**6**	**22**	**34-95**	**18**
მრეტები	**33**	**3**	**6**	**24**	**29-70**	**15**
ჯავახი	**32**	**0**	**1**	**31**	**17-135**	**1**

დასავლეთის ზონა
XXXIV ტური

სალხინო — საპოვნელა 2-3
ლუკა — ჩიხურა 1-0
მალაროელი — საირმე 3-0
გზები — სქური 4-4
ეგრისი — კოლხეთი2 1-1
ოკრიბა — ინტერი 2-1
დინამო (ზ) — ~~დინამო2 3-0~~
გურია2 — დინამო (სოხ) 10-0
სულორი — სამეგრელო 3-0

XXXV ტურის გადმოტანილი მატჩი
ლუკა — სქური 0-1

სულორი	**34**	**28**	**1**	**5**	**82-32**	**85**
საპოვნელა	**34**	**5**	**4**		**101-33**	**80**
დინამო (ზ)	**33**	**24**	**4**	**5**	**76-33**	**76**
მერცხალი	**31**	**23**	**4**	**4**	**65-19**	**73**
მალაროელი	**34**	**23**	**1**	**10**	**78-43**	**70**
გურია2	**34**	**18**	**4**	**12**	**79-43**	**58**
სქური	**35**	**14**	**9**	**12**	**52-52**	**51**
კოლხეთი2	**34**	**13**	**10**	**11**	**46-37**	**49**
ინტერი	**34**	**14**	**6**	**14**	**48-49**	**48**
სალხინო	**34**	**14**	**3**	**17**	**52-63**	**45**
ჩიხურა	**33**	**13**	**3**	**17**	**39-62**	**42**
დინამო2	**34**	**12**	**4**	**18**	**36-57**	**40**
ლუკა	**34**	**11**	**5**	**18**	**44-72**	**38**
საირმე	**34**	**11**	**3**	**20**	**34-54**	**36**
ეგრისი	**34**	**11**	**3**	**20**	**50-59**	**36**
გზები	**34**	**10**	**5**	**19**	**38-56**	**35**
ოკრიბა	**34**	**10**	**2**	**22**	**38-75**	**32**
მეტალურგი2	**32**	**8**	**6**	**18**	**36-55**	**30**
დინამო (სოხ)	**33**	**4**	**9**	**20**	**32-77**	**21**
სამეგრელო	**34**	**5**	**4**	**25**	**35-88**	**19**

მოსკოვის „ტორპედოს“ ოლეგ გველესიანის შეძენა სურს

მოსკოვის საფეხბურთო კლუბ „ტორპედოს“ ხელმძღვანელობა მოლაპარაკებებს აწარმოებს თბილისის „ვიტ ჯორჯიასთან“ ოლეგ გველესიანის შეძენასთან დაკავშირებით. ქართული კლუბის პრეზიდენტის გურამ რუხაძის განცხადებით, ის არ არის წინააღმდეგი, რომ გველესიანმა „ტორპედოს“ მაისური მოირგოს. აქვე გეტყვით, რომ 21 წლის გველესიანი „ვიტ ჯორჯიაში“ გამოჩენამდე იცავდა „თბილისის“, თბილისის „დინამოსა“ და ბათუმის „დინამოს“ ღირსებას. თუკი ახალი გარიგება შედგა, გველესიანი მესამე ქართველი იქნება „ტორპედოში“ ედიკ საჯაიასა და დავით ნაკანის შემდეგ.

პირველი ლიგა. X ტური

I-VI ადგილები

ლოკომოტივი — თსუ 0-2
დილა — ცხინვალი 4-1
მილანი — ქობულეთი 0-1

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
მილანი	**10**	**7**	**2**	**1**	**17-6**	**46**
დილა	**10**	**6**	**1**	**3**	**19-13**	**44**
ქობულეთი	10	7	0	3	11-6	42
თსუ	10	6	1	3	14-10	42
ლოკომ3	10	2	0	8	13-18	26
ცხინვალი	10	0	0	10	4-24	18

VII-XII ადგილები

ლაზიკა — კოლხეთი (ხ) 5-2
დინამო 2 — მერანი2 5-1

დინამო2	**8**	**6**	**2**	**0**	**18-5**	**34**
ლაზიკა	**8**	**4**	**1**	**3**	**19-11**	**26**
კოლხეთი (ხ)	**8**	**3**	**2**	**3**	**11-15**	**22**
ლოკ.(სამტრ)	8	2	1	5	8-14	17
მერანი2	8	2	0	6	10-21	14

„მილანი“ და „დილა“ უმაღლეს ლიგაში გადავიდნენ. ლიგიდან გავარდნენ სამტრედიის „ლოკომოტივი“ და „მერანი2“.

უმაღლეს ლიგაში გადასასვლელი მატჩი

გორი. 28 მაისი. 17 სთ. 30 წთ.
«გორდა» — ქობულეთი
მთავარი მსაჯი: ა. შილაკაძე, ასისტენტები — ზ. დოლიძე, ი. შალამბერიძე. ***მეოთხე მსაჯი*** — ი. კახიანი, ***ინსპექტორი*** — ნ. კაკულია.

წარმოგიდგენთ მონაწილეებს

დებიუტანტი

საფეხბურთო ჩინური კედელი გარღვეულია

მსოფლიოს ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ქვეყანა პირველად აგზავნის გუნდს მსოფლიოს წამყვან ფეხბურთელთა ფორუმზე. ჩინეთის ნაკრები თუმცა ნაკლებად ცნობილია ფეხბურთის მოყვარულთათვის, მაინც აქვს შანსი მოახდინოს სენსაცია. ნაკრებს ხომ ველიბორ მილუტინოვიჩი წვრთნის, რომელსაც ჯერ არც ერთხელ არ წაუგია ჩემპიონატის პირველი ეტაპი.

პირველად მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში ჩინელები 1958 წელს ჩაერთნენ. ქვეჯგუფში მისი მეტოქე იყო ტაივანი და ინდონეზია. ტაივანის უარის გამო ორი ქვეყნის დაპირისპირებაში პირველი მატჩი ჯაკარტაში ინდონეზიელებმა მოიგეს 2-0. შემდეგ ჩინელებმა რევანში აიღეს 4-3. ნეიტრალურ მოედანზე გამართულ დამატებით შეხვედრაში, ქ. რანგუნში, ნულოვანი ფრე დაფიქსირდა, რამაც ინდონეზიელებს ავტომატურად მიანიჭა შემდეგ რაუნდში მონაწილეობის უფლება, რომელმაც შემდეგ პოლიტიკური მოსაზრებით, უარი განაცხადა ბრძოლის გაგრძელებაზე. ინდონეზიელებს ისრაელში ჩასვლა არ უნდოდათ და მატჩის ნეიტრალურ მინდორზე გადატანა მოითხოვეს.

შემდეგ მაოისტური რეჟიმის გამო ჩინეთის ნაკრები ჩამოშორდა საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობას და მხოლოდ მაოს სიკვდილის შემდეგ ჩინელები კვლავ მოხვდნენ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში, აზიის ზონის „დ“ ჯგუფში ჩინელებმა გამარჯვება გამოსტაცეს იაპონიისა და მაკაოს ნაკრებებს, შემდეგ ნახევარფინალში პენალტებით სძლიეს ჰონკონგელებს მასავე მოედანზე, ფინალში კი კორეელები (კდრ) დაამარცხეს (დამატებით დროში). როგორც ქვეჯგუფში გამარჯვებულმა ჩინელებმა უფლება მოიპოვეს ესპარეზათ გამარჯვებული ოთხეულის ტურნირში, რომელთაგან ორი საუკეთესო გზას იკვლევდა ესპანეთისკენ. ჩინელებმა ეს კედელი ვეღარ გადალახეს.

ოთხი წლის შემდეგ ჩინელები უკვე შესარჩევ ჯგუფშივე შეაჩერეს. გადამწყვეტ მატჩში ჰონკონგთან პეკინში მათ მხოლოდ გამარჯვება აძლევდათ ხელს, მაგრამ ეს მატჩი ჩინელებმა დათმეს 1-2. მსოფლიო ჩემპიონატის 1990 წლის შესარჩევ ეტაპზე ჩინელებს დრამატულ სიტუაციაში გაუსწრო ირანმა, რომელსაც ბურთების უკეთესი შეფარდება აღმოაჩნდა, მეორე ჯგუფურ ტურნირში კი კატართან წააგო პრინციპული მატჩი 1-2, რის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატის მიღმა დარჩა. შემდეგ ვეღარც 1994 წელს გადალახა ეს ბარიერი, ამჯერად ერაყმა გადაუსწრო. კიდევ ოთხმა წელმა განვლო და უკვე ძალდაუტანებლად გააღწია მეორე წრეში, სადაც მხოლოდ ერთი ქულა დააკლდა მეორე ადგილზე გასასვლელად, რომელიც ირანელებს ხვდათ და გავიდნენ კიდეც ფინალურ ეტაპზე.

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებში, ჩინეთის ნაკრები, აზიური ტრადიციით, ბრძოლაში ჩაება პირველი ჯგუფური ტურნირიდან, სადაც ყველა ექვსი შეხვედრა მოიგო. მალდივის კუნძულების ნაკრებს 10-1 და 1-0, კამბოჯას 4-0, 3-1, ინდონეზიას 5-1, 2-0. მეორე ჯგუფურ ტურნირში კი ლიდერი გახდა — მოუგო გაერთიანებულ საემიროებს შინ 3-0, ომანს სტუმრად — 2-0, კატართან დოხში კი 1-1 ითამაშა. შემდეგ იყო გამარჯვება უზბეკეთთან შინ 2-0, საემიროებთან სტუმრად 1-0 და ნათელი გახდა, რომ ჩინეთის ნაკრებს პრაქტიკულად განაღდებული ჰქონდა პირველი ადგილი, რაც საბოლოოდ განამტკიცა ომანთან (1-0) და კატართან (3-0) გამარჯვებით. ბოლო მატჩი ტაშკენტში აღარაფრის მომცემი იყო და იგი დათმეს ჩინელებმა 0-1.

რამ განაპირობა ჩინელთა ამჟამინდელი აღზევება. როგორც თავად აცხადებენ, ქვეყანა სწორედ ახლა იმკის ჩინეთში ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ნაყოფს. რომ არა ეს პროგრამა, შეუძლებელი იქნებოდა ისეთი უნარიანი ფეხბურთელების აღმოჩენა, როგორიცაა სუნ ცზიხაი, ლი ტე და ა.შ. შარშან ჩინეთის ნაკრები ლივანში აზიის თასის ნახევარფინალში აღმოჩნდა, რაც დიდი მიღწევა იყო.

ამჟამად, შესარჩევი ციკლის შემდეგ ჩინეთის ნაკრებში მოხვდნენ ყველაზე საუკეთესო ფეხბურთელები, რომლებსაც ხელეწიფებათ მართლაც შესთავაზონ ნებისმიერ მეტოქეს ნებისმიერი სიურპრიზი, რადგან, როგორც ჩინეთში ამბობენ, ნაკრებს ჰყავს მთავარი ვარსკვლავი... მილუტინოვიჩი, მსოფლიოში აღიარებული საფეხბურთო მწვრთნელი.

სხვათა შორის, იყო მომენტი, როცა ჩინელებმა ლამის ჩამოაშორეს ნაკრებს მილუტინოვიჩი, მაგრამ, როცა დარწმუნდნენ, რომ პატრიოტული მოსაზრებით ნაკრებში ჩინელი მწვრთნელის დანიშვნა სიკეთეს არ მოიტანდა, ფედერაციამ გადაწყვეტილება შეცვალა, მით უფრო, რომ დღეს ვერც ერთი ჩინელი მწვრთნელი ვერ შეძლებს იმას, რაც მილუტინოვიჩს შეუძლია.

C ჯგუფი

ბრაზილია		03.06	08.06	13.06
თურქეთი	03.06		13.06	09.06
ჩინეთი	08.06	13.06		04.06
კოსტარიკა	13.06	09.06	04.06	

ჩინეთის ნაკრების შემადგენლობა. ***მეკარეები:*** ცზიან ცინი (ტანცზინ ტაიდა), ან კი (დალიან შაიდ), უ. ჩუპიან (იუნან ხონტა).
მცველები: ფან ჩჟი, ვუ ჩენინი, დუ ვეი (ყველა — შანხაი შინხუა), ლი ვეიფანი (შენ ზენ პინგანი), სენ ცზიხაი (მანჩ. სიტი ინგლისი), იან პუ, სიუ იულონი (პეკინ გუოანი), ჟან ენხუა (დალინ შაიდი), მაო, რაო (შანდუმ ლიუნენი); ***ნახევარმცველები:*** ლი ტე ჟაო იუნცზე (დიონინ ბოდაო), ლი სიაოპენი (შანდონ ლიუნენი), კუ ბო (კონგდაო ბირ), მა მინგე (სი ხუან დახე), შაო ჯიანი (პეკინ გუოანი), კი ხონი (შანხაი ჟონგუამი), იუ გენვეი (ტიანცზინ ტაიდა); ***თავდამსხმელები:*** ხაო ხაიდონ (დალიან შაიდი), იან ჩენი (აინტრახტი, გერმანია), სუ მაოჩჟენი (შანდონ ლიუნენი).

ოჰ, ეს ქალები...

როგორც ყველა მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ხდება ხოლმე, ამჯერადაც იჩინა თავი პრობლემამ – უნდა დაერთოთ თუ არა ნება ჩემპიონატის მონაწილე გუნდების ფეხბურთელებს, კონტაქტი ჰქონდეთ მეუღლეებთან და მეგობარ ქალებთან. საფრანგეთის ნაკრების ექიმი ჟან-მარსელ ფერე თვლის, რომ „ეს“ ფეხბურთელებზე დადებით გავლენას ახდენს ყოველი მატჩის შემდეგ ფსიქოლოგიური სტრესის მოხსნაში.

აი, იტალიელები იძულებული არიან, ყველაფერი დაივიწყონ სექსის შესახებ. გოლკიპერმა ჯანლუიჯი ბუფონიმ უკვე მიაგნო გამოსავალს – 3000 გვერდიანი წიგნის კითხვით გაერთობა.

ბორა მილუტინოვიჩმა თავის ჩინელ შეგირდებს განუცხადა: „დაე, ცოლებმა იარონ, მაგრამ მხოლოდ თავიანთი ხარჯებით“...

ფეხბურთელების სუსტი სქესის ურთიერთობასთან დაკავშირებით ბრაზილიის ნაკრების მთავარ მწვრთნელს ლუის ფელიპე სკოლარის თავდაპირველად ნეგატიური პოზიცია ეკავა, მაგრამ მალე დათმობაზე წავიდა: „დაე მათ თავისუფალ დროს აკეთონ ის, რაც სურთ“.

ასეთი ჰუმანური იდეები აწუხებს პოლონელთა თავკაცს ეჟი ენგელსს: „მე არ ვიქნები წინააღმდეგი, რომ ბიჭებმა სრულყოფილი ცხოვრებით იცხოვრონ“.

ზოგიერთი სპეციალისტი ასეთ „ჰუმანურობას“ ირონიით უყურებს. ფეხბურთის ისტორიაში ამ საკითხთან დაკავშირებით ბევრი საინტერესო ფაქტი არსებობს. მაგალითად, მსოფლიოს 1966 წლის ჩემპიონატის წინ, სამხრეთ კორეის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კიმ ირ სენმა თავის შეგირდებს ქალებთან ურთიერთობა აუკრძალა. ამის შედეგები გახლდათ ის, რომ სამხრეთ კორეის ნაკრებმა დაამარცხეს „სკუადრა აძურა“ (!) და კინაღამ პორტუგალიის გუნდიც არ მიაყოლეს...

აი, რას მოგვითხრობს ყოფილი საბჭოთა ნაკრების ექიმი საველ მიშალოვი: „თვითონ სპორტსმენმა უნდა იცოდეს, რა არის მისთვის სასარგებლო და რა არა. მახსოვს, 1989 წელს 20-დღიან შეკრებაზე ვიმყოფებოდით იტალიაში, „ინტერის“ საფეხბურთო ბაზაზე. რა თქმა უნდა, საბჭოთა ფეხბურთელებს არ ახლდნენ მეუღლეები. ერთ დღეს ჩემთან მოვიდა ლოთარ მათეუსი (ის მაშინ „ინტერში“ თამაშობდა) და გაოცებული მეკითხება: კი მაგრამ, თქვენი ფეხბურთელები სექსის გარეშე ამდენ ხანს როგორ ძლებენო. თურმე მათეუსს უქალოდ სამი დღეც არ შეეძლო გაეძლო.“

გაზეთის დაბეჭდვის წინ:

იოზიჩი ნაკრებიდან წავა

ხორვატიის ნაკრების მწვრთნელმა მარკო იოზიჩმა განაცხადა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ნაკრებს დატოვებს. ეროვნულ ნაკრებთან მისი კონტრაქტი აგვისტოში თავდება და მწვრთნელი მსოფლიო ჩემპიონატზე ნაჩვენები შედეგის მიუხედავად, გუნდთან კონტრაქტს აღარ გააგრძელებს. ცნობილი გახდა ისიც, რომ სლავების თავდამსხმელი ალენ ბოქშიჩი მუცლის კუნთის დაზიანების გამო მონაწილეობას ვერ მიიღებს ხორვატებისა და მექსიკელთა პაექრობაში.

ბილეთები გაყიდულია

მსოფლიო ჩემპიონატის მიმდინარეობისას ვარაუდობენ, რომ კორეას ეწვევა დაახლოებით 350 ათასი უცხოელი ტურისტი, თუმცა მათ პრობლემები არ ექნებათ — სასტუმროებში საკმაო ადგილებია. ბილეთებს რაც შეეხება, კორეელთათვის განკუთვნილი ბილეთები მთლიანად გაყიდულია. დარჩენილია ის მცირე რაოდენობა, რომელიც უცხოელებს ეკუთვნით. თუმცა საორგანიზაციო კომიტეტი იმედოვნებს, რომ ისინიც სრულად გაიყიდება.

ბლატერი გენმდივანს 8 საათით შეურიგდა

ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა და მასთან მოდავე გენერალურმა მდივანმა მიშელ ზენ რუფინენმა დროებითი რვასაათიანი შერიგება — ზავი გამოაცხადეს.

ფიფას მაღალჩინოსანთა დავა შეწყდება ფიფას კონგრესამდე, რომელიც 28 მაისს შეუდგება მუშაობას. კონგრესზე განიხილება ფიფას ფინანსური მდგომარეობა, 29 მაისს კი მსოფლიო ფეხბურთის უმაღლესი ორგანო პრეზიდენტს აირჩევს.

იყო დრო – ბლატერი (მარცხნივ) და რუფინენი შვეიცარიულ ყველსაც კი ძმურად იყოფდნენ. ახლა რა ვერ გაიყვეს?..

სუპერ არწივები მილიონერები გახდებიან

თუ ნიგერიის ეროვნული ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გავა, იქაური ფეხბურთის ასოციაციის გენ მდივნის ტივონ ოგუნჯობის განცხადებით, ფეხბურთელები 750 ათას ფუნტ სტერლინგს (მილიონ დოლარზე მეტი) მიიღებენ. მისი სიტყვებით — ასოციაცია ასეთ პირობებზე ნაკრების წევრებს იაპონიაში ჩასვლამდე შეუთანხმდა.

თუ ნიგერიის ნაკრები მოიგებს მსოფლიო ჩემპიორნატის პირველ მატჩს (4 ივნისი, ნიგერია — არგენტინა) თითოეული ფეხბურთელი მიიღებს 4 ათას ფუნტ სტერლინგს. შემდგომ მატჩში მონაწილეობისთვის — 5 ათასს, მეოთხედფინალში გასვლისთვის — 5,5 ათას, ნახევარფინალისთვის — 7 ათასს, ფინალისთვის კი 8,3 ათას ფუნტს. იტყობინებიან, რომ ერთ-ერთი ნიგერიელი ბიზნესმენი ფინალში გასვლისთვის ნაკრებს პირადად გადასცემს 275 ათას ფუნტს.

მოკლედ... ნომრიდან ნომრამდე

- ** გიორგი ქინქლაძის ყოფილმა კლუბმა „მანჩესტერ სიტიმ“ თავის ისტორიაში ახალი სატრანსფერო რეკორდი დაამყარა. მანჩესტერელები 14,5 მილიონ დოლარს უხდიან ფრანგული „პარი სენ-ჟერმენს“ თავდამსხმელ ნიკოლა ანელკაში. კონტრაქტის ერთ-ერთი პირობის თანახმად, ანელკას სანაცვლოდ „სიტი“ საფრანგეთში კამერუნელ ლიუსიონ მატომოს გააგზავნის.**

- **26 წლის** მამია ჯიქიამ 2-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი პოლონურ საფეხბურთო კლუბ „ამიკასთან“. უკანასკნელი ექვსი სეზონის განმავლობაში ქართველი ფეხბურთელი ხოჟუის „რუხის“ ღირსებას იცავდა. 1998 წელს ჯიქია „რუხთან“ ერთად ინტერტოტოს თასის გათამაშების ფინალში გავიდა, რაც საერთაშორისო ასპარეზზე ამ ფეხბურთელის ყველაზე მაღალ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს.

- **„ფრაიბურგი“ კვლავ აგრძელებს ქართველ ფეხბურთელებზე ნადირობას. გერმანული კლუბის ხელმძღვანელობამ თვალი ამჯერად დაადგა გოჩა ჯამარაულს, რომელიც შვეიცარიული „ლუცერნის“ ღირსებას იცავს. საქართველოს ნაკრების ნახევარმცველის შეძენით დაინტერესებულნი არიან „აინტრახტი“, შოტლანდიური „დანდი“, და თბილისის „დინამო“. ალბათ, უახლოეს ხანში გაირკვევა, თუ სად გააგრძელებს ასპარეზობას გოჩა ჯამარაული, რომელიც „ლუცერნამდე“ თბილისის „დინამოს“, თურქული „ტრაბზონსფორის“, ვლადიკავკაზის „ალანიასა“ და შვეიცარიული „ციურიხის“ ღირსებას იცავდა. ჯამარაულმა საქართველოს ნაკრებში 51 ჩატარებულ მატჩში 6 გოლი გაიტანა.**

- **მსოფლიო** ჩემპიონატზე გამარჯვების შემთხვევაში, აშშ-ს ნაკრების თითოეული ფეხბურთელი ჯილდოდ 53 ათასამდე დოლარს მიიღებს. გარდა ამისა, ყოველი ქულის მოპოვებისათვის აშშ-ს გუნდი 100 ათასი დოლარით დაჯილდოვდება. ასეთი სისტემით თუ ვიმსჯელებთ, ამერიკელი ფეხბურთელები ჯგუფური ტურნირის დაძლევის შემთხვევაში 1,85 მილიონ დოლარს პრემიას მიიღებენ.

- **სენეგალში, უმაღლეს სასწავლებლებსა და სკოლებში მეცადინეობები არ ჩატარდება იმ დღეებში, როცა ქვეყნის ნაკრები ითამაშებს. ასე გამოხატა სენეგალის განათლების სისტემის ხელმძღვანელობამ თავისი მხარდაჭერა საყვარელი გუნდისადმი.**

- **ესპანეთის** ნაკრები სუფთა სინდისით გამოვა მსოფლიო ჩემპიონატზე. დოპინგკონტროლზე ყველა ფეხბურთელზე ჩატარებულმა ტესტმა უარყოფითი შედეგი აჩვენა.

- **როგორც ვიუწყებოდით, იაპონია მარადონას ქვეყანაში შესვლის ვიზას არ აძლევდა, რადგან იგი ნარკოტიკების მომხმარებელი იყო. ასეთთათვის იაპონიაში შესვლას კი კანონი კრძალავს. გამონაკლისი არ დაუშვეს. „ახლა არც კორეაში წასვლის სურვილი მაქვს, დავჯდები შინ და თამაშებს ვუყურებ ტელევიზორით“ – თქვა განაწყენებულმა მარადონამ.**

საფეხბურთო-საჩემპიონატო კროსვორდის პასუხები. „ლელო“ №39
თარაზულად: 1. კაკა, 5. პლეტიკოშა, 7. როკე, 9. „ლეჩე“, 11. „მილანი“, 12. კანი, 14. ჩაკტიჩი, 16. ჰაინტცე, 17. ნესტა, 18. ტიგანი.
შვეულად: 1. კონელი, 2. კარიჩი, 3. ჯილი, 4. დოი, 5. პე, 6 და 8 არშავინი, ალენიჩევი, 10. ვრანიესი, 13. აკინი, 15. დიდა.

ნბა

პირველად ნბა-ს ისტორიაში!

„ბოსტონი“ — „ნიუ ჯერსი“ 2:1

„ბოსტონმა“ ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატის ფლეი-ოფის მესამე ნახევარფინალურ მატჩში ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია „ნიუ-ჯერსისთან“ შეხვედრაში. ასეთი რამ ნბა-ს ისტორიაში არ მომხდარა! უკანასკნელი მეოთხედის წინ, „ბოსტონი'' 21 ქულით მარცხდებოდა. ყველას ეგონა, რომ მატჩს სტუმრები მოიგებდნენ, მაგრამ... ბოლო 12-წუთიან მონაკვეთში „ბოსტონმა'' მეტოქე გაანადგურა — 41:16. 2 წუთით ადრე უილიამსის სროლის შედეგად სტუმრები 6 ქულას იგებდნენ — 90:84. ამ მომენტში გაიბრწყინა პირსმა, რომელმაც წუთნახევრის განმავლობაში 7 ქულა მოუტანა „ბოსტონს'' და ძირითადი დროის დამთავრებამდე 46 წამით ადრე მასპინძლები დაწინაურდნენ — 91:90. სტუმრებმა საპასუხო შეტევის დროს მორიგი შეცდომა დაუშვეს, რითაც კარგად ისარგებლა კენი ანდერსონმა. საბოლოო წერტილი მატჩს ისევ პირსმა დაუსვა — 94:90. ასეთი სხვაობის დაძლევა ერთგვარი რეკორდიც იყო. წინა მიღწევა ეკუთვნოდა ფინიქსს, რომელიც 1994 წელს 18 ქულით აგებდა „ჰიუსტონთან'', მაგრამ მეოთხე მეოთხედში შეძლო მატჩის ბედის თავის სასარგებლოდ შეტრიალება.

ნიუ ჯერსი – ბოსტონი

გუშინდელი შეხვედრის შემდეგ ფლეი-ოფის ნახევარფინალური მატჩების სერიაში „ბოსტონი'' დაწინაურდა — 2:1.

„ბოსტონი“: პირსი (28), უოქერი (23+12 მოხსნა), კ. ანდერსენი (15).

„ნიუ ჯერსი“: კიტლზი (19), უილიამსი (18), კიდი (12+11 შედეგიანი გადაცემა).

ასეთი რამ იშვიათად ხდება

„ლეიკერსი“ — „საკრამენტო“ 2:2

მესამე ნახევარფინალურ მატჩში „საკრამენტო'' მასპინძლად აღიქვამდა, თავს „ლეიკერსთან'' სტუმრად. პირველი მეოთხედის შემდეგ „საკრამენტო'' 17 ქულით დაწინაურდა — 32:15, ხოლო მეოთხე მეოთხედის წინ, ქულათა სხვაობამ 23-ს მიაღწია — 75:52. უკანასკნელი 12 წუთის განმავლობაში მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა, სტუმრებმა მატჩი 13 ქულით მოიგეს — 90:103.

„ლეიკერსი“: კ. ბრაიანტი (22), ო,ნილი (20+19 მოხსნა).

„საკრამენტო“: უებერი (26), ბიბი (24), კრისტი (17+12 მოხსნა).

მეოთხე შეხვედრაც „საკრამენტოს'' უპირატესობით დაიწყო. სტუმრები ერთ მომენტში 20 ქულითაც დაწინაურდნენ, მაგრამ „ლეიკერსის'' კალათბურთელებმა შეძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა. მატჩის ძირითადი დროის დამთავრებამდე 30 წამით ადრე ისინი 2 ქულას აგებდნენ — 97:99. უკანასკნელ წამზე რობერტ ორის მიერ ზუსტად შესრულებულმა სამქულიანმა „ლეიკერსს'' უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოუტანა — 100:99. ნახევარფინალური მატჩების სერიაში ანგარიში გათანაბრდა — 2:2.

„ლეიკერსი“: ონილი (27+18 მოხსნა+3 შედეგიანი გადაცემა), კ. ბრაიანტი (25+4 მოხსნა).

„საკრამენტო“: დივაცი (23+7 მოხსნა), ბიბი (21. უებერი (20).

დევიდ რობინსონი დიდ კალათბურთს ტოვებს?

ნბა-ს უკანასკნელი ათწლეულის ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრფორვარდი დევიდ რობინსონი, რომელიც ამჟამად „სან-ანტონიოს'' ღირსებას იცავს, აპირებს 2002-2003 წლების სეზონის დასრულების შემდეგ მიატოვოს დიდი კალათბურთი. ასეთი განცხადება მან გააკეთა ჟურნალისტებთან გამართულ შეხვედრაზე.

ჰამილტონის პირველი გამარჯვება „ჯიროზე“

ამერიკელმა ველომრბოლმა ტაილერ ჰამილტონმა „ჯირო დ'იტალიის'' მორიგი მე-14 ეტაპი მოიგო. მას 31 წამით ჩამორჩა უკრაინელი სერგეი გონჩარი. აღსანიშნავია, რომ ჰამილტონი, პირველად თავის კარიერაში, გახდა ასეთი რანგის ასპარეზობის ეტაპის გამარჯვებული. ***მე-14 ეტაპი (30 კმ):*** 1. ჰამილტონი (აშშ, „ტისკალი'') — 41 წუთი და 21 წამი; 2. გონჩარი (უკრინა. „ფასა ბორტოლი'') — ჩამორჩენა 0.31 წუთი; 3. ევანსი (ავსტრალია. „მალეი'') — 0,41; 4. ვერბ ბრიუგე (ბელგია, „ლიტო'') — 0, 51; 5. გონსალესი (ესპანეთი, „კელმე'') - 0,56; 6. ფრიგო (იტალია, „ტაკონი'') — 0,59. ***საერთო ჩათვლაში*** გერმანელი იენს პეანერი ლიდერობს.

კულტჰარდმა მონაკოს „გრან პრი“ მოიგო

ფორმულა-1



„ფორმულა 1''-ის მიმდინარე სეზონის შეჯიბრებებში პირველად, გამარჯვებული გახდა ავტომრბოლი, რომლის გვარიც... შუმახერი არ არის: მონაკოს „გრან-პრი'' ბრიტანელმა დავიდ კულტჰარდმა მოიგო. მან პირველი გამარჯვება მოუტანა „მაკლარენს'' მონტეკარლოში, სადაც შეჯიბრებისათვის მართლაც რომ დიდებული ამინდი იდგა. კულტჰარდმა შეძლო გადაესწრო მიხაელ და რალფ შუმახერებისათვის. ეს მან პირველივე წრეზე მოახერხა და მას შემდეგ უპირატესობა აღარ დაუთმია. 35-ე წრეზე მისი უპირატესობა უახლოეს მდევართან 4 წამს შეადგენდა. საბოლოოდ კულტჰარდი პირველი მიიჭრა ფინიშთან. გამარჯვებულის დროა 1 საათი, 45 წუთი და 39,055 წამი. (საშუალო სიჩქარე — 149, 280 კმ/სთ). ***მეორე ადგილზე*** გავიდა მიხაელ შუმახერი, რომელიც „მაკლარენის'' პილოტს 1,05 წამით ჩამორჩა, მესამე იყო — რალფ შუმახერი.

შემდეგ მოდიან: 4. ტრული („რენო'') — ჩამორჩენა. 1 წრე; 5. ფიზიკელა („ჟორდანი'') — 1 წრე; 6. ფრენტცენი („ეროუზი'') — 1 წრე, 7. ბარიკელი („ფერარი'') — 1 წრე, 8. ჰაიდფელდი („ზაუბერი'') — 2 წრე, 9. ირვაინი („იაგუარი'') — 2 წრე. 10. დე ლა როსა („იაგუარი'') — 2 წრე. 11. უებერი („მინარდი'') — 2 წრე; 12. ბერნოლდი („ეროუზი'') — 2 წრე. „ტიოტას'' პილოტმა სალომ მხოლოდ 8 წრე დაძლია და შემდეგ ასპარეზობას ავარიის გამო გამოეთიშა.

არმსტრონგი კვლავ პირველია

არმსტრონგი

დასრულდა პროფესიონალთა შორის საფრანგეთის მრავალდღიანი ველორბოლა, რომლის გამარჯვებული გახდა ამერიკელი ლენს არმსტრონგი. მართალია, უკანასკნელ ეტაპზე ის მხოლოდ მეოთხე ადგილს დასჯერდა, მაგრამ საბოლოო შედეგებით, ყველას გაუსწრო და მესამედ გახდა ამ ავტორიტეტული ველორბოლის გამარჯვებული. მეორე ადგილზე გავიდა ესპანელი გონსალესი, რომელიც ლიდერს 0,09 წუთით ჩამორჩა, მესამეზე – პორტუგალიელი ასივიედო.

ავსტრალიელი მორაგბე 20 წლით ჩამოაშორეს სპორტს

ასეთი გაუგონარი სასჯელი დაადეს რაგბში ავსტრალიის ახალგაზრდული ლიგის მოთამაშეს, რომლის გვარი არ სახელდება მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ჯერ 15 წლისაა. ამ ყმაწვილმა რაგბიდან მოკვეთა დაიმსახურა იმისთვის, რომ მსაჯს გაარტყა. 20 წლიანი სასჯელი იმას ნიშნავს, რომ ჭაბუკობაშივე სამუდამოდ დასრულდა ამ მორაგბის კარიერა.

მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები



28 მაისი, შაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. ჩვენი ფეხბურთი (22.10), ***ევრიკა.*** მსოფლიო სპორტი (20.00), ***მე-9 არხი.*** „მსოფლიო ფეხბურთი“ (14.45). ***НТВ плюс футбол.*** 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის სტარტის წინ. მსოფლიო ჩემპიონატი-98: ბრაზილია – დანია (13.15). გერმანია – ხორვატია (21.35), მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის. ნახევარფინალი (15.00, 19.25), ფინალი (23.20, პირდაპირი რეპორტაჟი შვეიცარიიდან). ესპანეთის ჩემპიონატი. საბოლოო შედეგები (14.45), მუნდიალი (18.30), ***НТВ плюсспорт.*** ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი „როლან-გაროსი“ (14.00), ბილიარდის მეფეები (0.10), წრიული ავტორბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი სპორტული ავტომანქანებით (0.40). ***EUROSPORT.*** ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა (11.30, 14.00, 20.30, 23.00, 0.00). ფეხბურთი. უეფა. ევროპის ჩემპიონატი 21 წელზე ნაკლებ ასაკთა შორის (2.15).

29 მაისი, ოთხშაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. „ჟილეტის“ საფეხბურთო პროგრამა (16.45, 22.20). კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. ვაჟები (18.00), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი“ (10.45, 22.30). ***НТВ плюс футбол.*** მსოფლიო ჩემპიონატის სტარტის წინ. მსოფლიო ჩემპიონატი-98. მეოთხედფინალი (13.15, 17.40, 19.55). ნახევარფინალი (21.35, 23.35). ახალგაზრდული გუნდების ევროპის ჩემპიონატის ფინალი (15.55). ***НТВ плюсспорт.*** ჰოკეი. „სტენლის თასი“ (11.45, 0.10), ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი, „როლან გაროსი“ (13.00). ***EUROSPORT.*** ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი (11.30, 14.00, 20.30, 23.00). საცხენოსნო სპორტი. ეროვნებათა თასი „სამსუნგი“ (12.30), ფეხბურთი: მსოფლიო ჩემპიონატის მზადების წინ. F ჯგუფის მიმოხილვა (1.00), სიახლენი გუნდებში (1.30, 3.15).

30 მაისი, ხუთშაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. „ჟილეტის“ საფეხბურთო პროგრამა (17.15, 22.15). ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი“ (10.45, 20.00). ***НТВ плюс футбол.*** მსოფლიო ჩემპიონატის სტარტის წინ. მსოფლიო ჩემპიონატი-98. ნახევარფინალი (13.15, 15.45), მატჩი მე-3 ადგილისათვის (19.15), ფინალი (23.40). ჩემპიონთა ლიგის შედეგები (14.55), მუნდიალი (18.15, 23.10), უკრაინის ჩემპიონატი: „დინამო“ – „დნეპრი“ (20.55). ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი. „როლან გაროსი“ (14.30), ნბა-ს საკალათბურთო მიმოხილვა (23.10). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. უეფა. ევროპის ჩემპიონატი 21 წლიანთა შორის (12.30, ფინალი). ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი (14.00, 20.30, 23.00). ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატისადმი მიძღვნილი პროგრამა – A ჯგუფი (1.00), სიახლენი გუნდებზე (1.30, 3.15). „ჟილეტი“ – ოცნების გუნდი (2.15).



ევროპის ახალი რეკორდი

გერმანელმა მოცურავემ ტომას რუპრატმა გერმანიის ჩემპიონატში ასპარეზობისას ევროპის ახალი რეკორდი დაამყარა 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში – 51,88 წ. ძველი მიღწევა ეკუთვნოდა შვედ ლარს ფროლანდერს, რომელიც 0,12 წამით გააუმჯობესა გერმანელმა მოცურავემ.

მსოფლიო რეკორდამდე რუპრატს მხოლოდ 7 მეასედი წამი დააკლდა. ავსტრალიელ მაიკლ კლიმას მიღწევა ხელუხლები დარჩა. დავძენთ, რომ რუპრატს ახლა უკვე კონტინენტის რეკორდი ეკუთვნის, როგორც ჩვეულებრივ, ისე, მოკლე წყალზე.

კროსვორდი № 40



თარაზულად: 2. „პანათინაიკოსის'' ფეხბურთელი, თავდამსხმელი, 6. ლიბერიელი ვეტერანი ფეხბურთელი, 9. ქართული ხალხური თამაშობა, 10. სპორტული ნავი, 13. სამხრეთ აფრიკის ერთ-ერთი საფეხბურთო ქვეყანა, 14. უმაღლესი საჭადრაკო ფიგურა, 15. წარსულში ცნობილი მოფარიკავე, საქართველოდან ოლიმპიური თამაშების მონაწილე, 16. ცნობილი იუგოსლაველი საფეხბურთო სპეციალისტი, 17. წარსულში საქართველოში ალპინისტთა მოძრაობის ერთ-ერთი გამოჩენილი ორგანიზატორი, 18. შეტევა ანუ...

შვეულად: 1. ფეხბურთელის ერთ-ერთი ამპლუა, 3. იაპონიის საფეხბურთო ნაკრების წევრი 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, 4. ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელის სახელი, 5. წარსულში „დინამოს'' ვეტერანი ფეხბურთელი — პენალტისტი, 7. „ფრაიბურგის'' ქართველი ლეგიონერი, 8. ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი მშვილდოსნობაში, 11. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი, 12. მსოფლიო ჩემპიონი რუსი მოჭადრაკე ვაქი, 14. სპორტული არბიტრი, ანუ...

კროსვორდი №39. პასუხები

თარაზულად: 1. „ოსერი'', 5. „პარმა'', 7. ფალსტარტი, 8. კიი, 9. ანი, 11. თეფში, 13. ტალტსი, 14. „ბაია'', 15. ნბა, 18. კალიფორნია, 20. რეი, 21 აზარიანი. **შვეულად:** 2. საფინი, 3. რალი, 4. „ირაკლისი'', 5. პატი, 6. მამიაშვილი, 10. მელბურნი, 12. ლანირი, 13. ტუა, 16. „ალგა'', 17. აფრა, 19. მუქამედ.

საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი



შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:

1. მb6! 1. ...მფc5 2. ლ:e3X
1. ...მფe4 2. ლd5X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: gazeti_lelo@hotmail.com